აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№84 (25.108) შაბათი, 5 - 7 აგვისტო, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 28-33 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 27 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

რამდენიმე ბუნებრივი მოვლენა დაემთხვა ერთმანეთს, რამაც გამოიწვია უპრეცედენტო რაოდენობის მასის ჩამოწოლა რაჭაში, ერთმანეთს დაემთხვა უხვი ნალექი, ეროზიული პროცესები, ღვარცოფი, მყინვარების დნობა და მეწყერი. ამ ხუთმა ერთად ამოქმედებულმა ბუნებრივმა პროცესმა

გამოიწვია ის კატასტროფული შედეგი, რომლის გამოც დღესდღეობით გვაქვს ძალიან ტრაგიკული მდგომარეობა, დაღუპული ადამიანები, განადგურებული ინფრასტრუქტურა, - განაცხადა პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძემ. მისი თქმით, მომავალში სახელმწიფოში მომზადებული გეოლოგიური რუკები საფუძვლად დაედება ყველა სამშენებლო ნებართვას მიუხედავად იმისა, რომ დღეს, სამშენებლო ნებართვების გაცემისას, იქ, სადაც გეოლოგიური რუკები უკვე არსებობს, ეს საფუძვლად ედება მშენებლობას.

* * *

რაჭაში, 3 აგვისტოს განვითარებული სტიქიის ზონაში იმყოფებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი. პრემიერის განცხადებით, მიმდინარეობს შოვში ჩარჩენილი მოქალაქეების ვერტმფრენებით გადაყვანის, ასევე, დაკარგულთა სამძებრო სამუშაოები. ამასთან, სამაშველო სამუშაოებში ჯარი ჩაერთვება. 7 აგვისტო ქვეყანაში გლოვის დღედ გამოცხადდა.

* * *

მაშინ, როცა მიტინგების დაშლისთვის ათობით მილიონი ლარის საშუალებებია შეძენილი, რატომ ვერ მოხერხდა ადამიანების გადარჩენისთვის საჭირო ტექნიკის შეძენა? - ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატმა პაატა მანჯგალაძემ განაცხადა. მან რაჭაში დაღუპულთა ოჯახებს მიუსამძიმრა და აღნიშნა, რომ ოპოზიცია მსგავსი ტრაგედიების შემდეგ სვამს კითხვებს, თუმცა, ხელისუფლება საჭირო ნაბიჯებს არ დგამს, რომ ასეთ დროს ადამიანების გადარჩენა მოხერხდეს.

მოამზადა
ია შველიძემ

7 აგვისტო – გლოვის დღე

შოვში მომხდარი ტრაგედიის გამო, სახალხო დღესასწაული „შუამთობა“, რომელიც დღეს უნდა გამართულიყო, გადაიდო

ამის შესახებ აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიუკაძის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული:

„განუზომელია შოვში მომხდარი ტრაგედიის სიმძიმე და მასშტაბები. მთელი ქვეყანა შეძრა სტიქიის შედეგად გამოწვეულმა უბედურებამ. დიდი გულისტკივილით ვიზიარებ გარდაცვლილთა ოჯახების და ჩვენი ხალხის დიდ მწუხარებას.

იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი მაშველები შეძლებენ დაკარგული ადამიანების პოვნას და

გადარჩენას.

შოვში მომხდარი ტრაგედიის გამო, სახალხო დღესასწაული „შუამთობა“, რომელიც 5 აგვისტოს იყო დაგეგმილი, გადაიდო.

ვიზიარებ სრულიად საქართველოს ტკივილს. საკუთარ ოჯახებში მშვიდობით და უვნებლად დაბრუნებას ვუსურვებ ჩვენს მოქალაქეებს“.

ტრაგედიას გამოეხმაურა აჭარის უმაღლესი საბჭო:

„სრულიად საქართველო შეძრა შოვში დატრიალებულმა ტრაგედიამ. სტიქიურმა უბედურებამ იმსხვერპლა ადამიანების სიცოცხლე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იზიარებს ამ უდიდეს ტკივილს და უსამძიმრებს დაღუპულთა ოჯახებს, ახლობლებს, ქვეყანას“ - ნათქვამია განცხადებაში.

შოვში დატრიალებული ტრაგედიის გამო ორშაბათი, 7 აგვისტო გლოვის დღედ გამოცხადდა.

ანკა ჩხიკვაძე

ბათუმის უნივერსიტეტი – ხუთეულში

ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა საერთაშორისო ორგანიზაცია „ვებომეტრიქსმა“, რომელიც მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგებს წელიწადში ორჯერ იკვლევს, მორიგი კვლევა გამოაქვეყნა. იგი მოიცავს 31 ათასამდე უმაღლეს სასწავლებელს 200-ზე მეტი ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდან. „ვებომეტრიქსი“ იკვლევს უნივერსიტეტების სამეცნიერო წარმატებას და მათი ონლაინრესურსების გავლენიანობას. სამეცნიერო კრიტერიუმები ითვალისწინებს უნივერსიტეტის აკადემიური პუბლიკაციების ციტირებას საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში.

ივლისის მონაცემებით, „ვებომეტრიქსში“ არსებულ 67 ქართულ უმაღლეს სახელმწიფო



სასწავლებელს შორის პირველ ადგილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია. მეორე და მესამე ადგილზე კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ტექნიკური უნივერსიტეტი.

კვლევების მიხედვით, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეიტინგში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების ხუთეულშია.

„ვებომეტრიქსის“ რეიტინგს მადრიდში მდებარე ესპანეთის ეროვნული კვლევითი საბჭო ამზადებს, რომლის რეიტინგი 2004 წლიდან ქვეყნდება.

ანკა ჩხიკვაძე

2008 წლის აგვისტოს ომის ექო ახლაც ხმიანობს

3

«ბუნებრივი კატაკლიზმების თავიდან ასაცილებლად საჭირო თანხების დაზოგვა დანაშაულის ტოლფასია»

4

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მსგავსი ტრაგედიების პრევენციაზე უნდა ვიფიქროთ

3 აგვისტოს, დაახლოებით 16:00 საათზე საქართველოს მოსახლეობა შეძრა თავზარდამცემმა ამბავმა - რაჭაში, შოვში, სასტუმრო „სანსეტ შოვის“ მახლობლად მეწყერული პროცესები განვითარდა. სამაშველო ოპერაცია შეტყობინების გაკეთებიდან დაახლოებით 3 საათის შემდეგ დაიწყო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმდროინდელი განცხადებით:

„ძებნა-შველის სამუშაოებში ჩართულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 400 მეხანძრე-მაშველი, პოლიციის დანაყოფები, დრონები, სპეცტექნიკა და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კინოლოგთა ჯგუფი“, გუშინ, დილის 6 საათიდან ოპერაციაში ისევ ჩაერთო სასაზღვრო სამსახურის 2 ვერტმფრენი, სტიქიის ზონიდან უსაფრთხო ადგილას დღის განმავლობაში გადაიყვანეს ორასამდე ადამიანი.

ონის მუნიციპალიტეტის მერიის ცნობით, მთაში მოსული ძლიერი წვიმის შედეგად ადიდებულმა მდინარე ჭანჭახმა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი(ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილის საავტომობილო გზის 136-ე კმ-ზე არსებული დროებითი სარმის ხიდი და 139-კმ-ზე არსებული ხიდი (შოვი) წაიღო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამაშველო სამსახურის უფროსის თემურ მღებრიშვილის თქმით, მეწყერმა ჭალაში არსებული კოტეჯებიც სრულიად გაანადგურა. მისივე თქმით, იმ ადგილებამდე მისვლა და სამაშველო სამუშაოების დაწყება ძალიან გაჭირდა, რადგან მიწის მასა ძალიან სქელი იყო და მეხანძრე-მაშველები შიგ ეფლობოდნენ. მალევე ახალი ტექნიკის საშუალებით გზა გაიჭრა და მაშველებმა სამძებრო სამუშაოები ამ ადგილებშიც დაიწყეს.

„ძალიან მძიმე ტრაგედია დატრიალდა რაჭაში. ვუსამძიმრებ [გარდაცვლილთა] ოჯახის წევრებს, ვუსამძიმრებ სრულიად საქართველოს. მაქსიმალურად მიახლოებული ვიყავი და ძალიან მძიმეა ის, რაც ადგილზე, ეპიცენტრში ვნახე. არის ძალიან დიდი სტიქია ამ რეგიონისთვის. სამწუხაროდ, უკვე 11 გარდაცვლილია ნაპოვნი, ეძებენ 25 ადამიანს“, - თქვა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა. მისივე თქმით, იმ დროისთვის ნანახი 11 გარდაცვლილიდან ნაწილი ოჯახის წევრებმა უკვე ამოიცნეს.

4 აგვისტოს სტიქიის ზონაში გაემგზავრა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. გამგზავრებამდე მან კომენტარი გააკეთა ბრალდებაზე სამაშველო ვერტმფრენების არარსებობის შესახებ, რომელიც გუშინ სხვადასხვა მედიასაშუალებასა და სოციალურ ქსელში ხშირად გაისმოდა. მან განაცხადა, რომ მთავრობის მიერ ვერტმფრენების შეძენის საკითხთან დაკავშირებით „ხელმოცარული პოლიტიკოსები“ და ჟურნალისტები „ამორალურ ქმედებას“ ეწევიან. ჟურნალისტს, რომელმაც ჰკითხა, ერთი წლის წინ დადებული პირობის მიუხედავად, რატომ არ ჰყავს საქართველოს სამაშველო ვერტმფრენები, მან ასე უპასუხა:

„ან ინფორმაციის გაგების პრობლემა გაქვთ, ან უფრო მეტი პრობლემა გაქვთ. თქვენ 24 საათი ერთადერთ დავალებას ასრულებთ - ჩვენი ხალხის შეცდომაში შეყვანის, ჩვენი ხალხის დაზაფვრის. ასეთი რთული მდგომარეობა გვაქვს და თქვენ ათმაგად ზაფრავთ ხალხს. სამარცხვინო სპეკულაციები უნდა დაასრულოთ - თურმე, სამი ვერტმფრენი შეიძინეს, მაგრამ არ შეიძინეს“, - თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ჟურნალისტმა პრემიერს, ასევე, ჰკითხა: რატომ არ ითხოვა საქართველომ დახმარება მეგობარი ქვეყნებისგან?

„ამის საჭიროება არ იყო. არ იყო“, - უპასუხა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„იმის მიუხედავად, რომ ყველა ვერტმფრენი აბსოლუტურად გამართულია, კარგ მდგომარეობაშია, ჩვენ ამას ყოველთვის ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობთ, ამის თაობაზე განხილვა გვქონდა და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ახლა ამ ვერტმფრენს [AS332 L1e S/N 2833-ს („სუპერ პუმას“)] გადავცემთ უკანმის გამომშვებ ქარხანას, ანუ გავყიდით და სანაცვლოდ სამ ახალ ვერტმფრენს შევიძენთ“, - თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შოვში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, ფსიქოლოგმა ნათია ფანჯიკიძემ სოციალური ქსელით ასეთი განცხადება გაავრცელა: „სტიქიით დაზარალებულებო და დაზარალებულთა ახლობლებო, ვისაც მოგწვდებათ ინფორმაცია: როდესაც ტრავმა იმ წუთის მომხდარი ან ჯერ არდასრულებული, ანუ მიმდინარეა, თერაპევტები მაშინვე არ ერთვებიან. ამ დროს მუშაობს ადამიანის საკუთარი რესურსი ტრავმის გადასამუშავებლად. თუ შეატყობთ, რომ გადის რამდენიმე კვირა და არ გშორდებათ, გახანგრძლივდა მძიმე განცდები, არ გტოვებთ მტანჯველი კადრები, რა თქმა უნდა, უფასოდ ვართ მზად მოგემსახუროთ. ასევე, თუ თვლით, რომ ახლავე გჭირდებათ ე.წ. კრიზისული ინტერვენცია/პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება ტრავმის პრევენციისთვის, შეგიძლიათ მოგვმართოთ დღესვე.

მივიღებთ ზრდასრულებსაც და მცირეწლოვნებსაც“.

შოვში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ უბრალო ადამიანები, მაშველები, მოხალისეები კრიზისულ სიტუაციაში საოცარ თანადგომას ავლენენ, გმირებადაც იქცევიან და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ეხმარებიან თანამოძმეებს. 3-4 აგვისტოს ამის არაერთი მაგალითი ვნახეთ. რაც შეეხება პოლიტიკოსებს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ქულების დასაწერად ისინი მომენტს ხელიდან არასოდეს უშვებენ. მთავარი ისაა, ხელისუფლებამაც, ოპოზიციამაც და ხალხმაც ერთად იზრუნონ, რომ მაქსიმალურად იყოს შესაძლებელი მსგავსი ტრაგედიების პრევენცია, გაანალიზდეს დაშვებული შეცდომები, რაც გამორიცხული არასოდესაა და შესაბამისი დასკვნები გაკეთდეს.

მარი მიდასელი

მომხდარი მკვეთრი შეხსენებაა არა მხოლოდ საქართველოსთვის...

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საქართველოში ღრმა მწუხარებას გამოთქვამს 3 აგვისტოს რაჭის რეგიონში მომხდარი ტრაგიკული მეწყერის შედეგად დაღუპულთა გამო. როგორც გაეროს წარმომადგენლობა განცხადებაში აღნიშნავს, შოვში განვითარებული მეწყერი მკვეთრი შეხსენებაა კლიმატის ცვლილების მზარდი ზემოქმედების შესახებ არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

„გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ ქართველ ხალხსა და მთავრობას, განსაკუთრებით მათ, ვინც ამ კატასტროფის შედეგად ოჯახის წევრები დაკარგა. ჩვენი ფიქრები მათთანაა, ვინც ჯერ კიდევ დაკარგულად ითვლება, ისევე როგორც მათთან, ვინც დაშავებულია და კატასტროფას გადაურჩა. ხაზს ვუსვამთ, რომ ქალები, ბავშვები და სხვა სოციალური ჯგუფები შესაძლოა განსაკუთრებით დაუცველები იყვნენ ასეთი კატასტროფების ზემოქმედების მიმართ.

გამოვხატავთ ჩვენს გულწრფელ პატივისცემას მაშველების, პოლიციისა და თითოეული იმ ადამიანის გმირობის მიმართ, ვინც სამაშველო და პირველადი დახმარების სამუშაოებშია ჩართული და დაუღალავად აგრძელებს მუშაობას ადგილზე, რათა ყველა დაზარალებულის უსაფრთხოება და კეთილდღეობა უზრუნველყოფილი იყოს.

გაერო სოლიდარობას უცხადებს ქართველ ხალხს ამ რთულ პერიოდში. მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ მთავრობას, ადგილობრივ ხელისუფლებასა და ჰუმანიტარულ პარტნიორებს კლიმატური კატასტროფების საფრთხის წინაშე მყოფი თემების მდგრადობის გაზრდის მიზნით ერთიანი ძალისხმევის კოორდინაციაში.

შოვში განვითარებული მეწყერი გამოწვეულია ინტენსიური ნალექითა და მდინარის ბუნებრივი კაშხლებით. ეს მკვეთრი შეხსენებაა კლიმატის ცვლილების მზარდი ზემოქმედების შესახებ არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ასეთი ტრაგიკული მოვლენები ხაზს უსვამს ერთიანი გლობალური ძალისხმევის აუცილებლობას კლიმატის ცვლილების შერბილების, მდგრადობის გაძლიერებისა და კატასტროფების რისკის შემცირების მიმართ“, - აღნიშნავს გაეროს წარმომადგენლობა.

ამირან გურიელიძე

2008 წლის აგვისტოს ომის ექო ახლაც ხმიანობს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მართებულად ამბობენ, რომ საქართველოს ისტორია ომების ისტორიაა. მართლაც, მრავალი სახელმწიფო ცდილობდა ჩვენი ქვეყნის დაპყრობასა და განადგურებას, მაგრამ რუსეთი ყველაზე ვერაგი და დაუნდობელი აღმოჩნდა

ეს ქვეყანა არ იცვლება, კვლავ იმპერიალისტური იდეებითაა შეპყრობილი, რისი დასტურიცაა უკრაინაში მისი შეჭრა. ომში გადაზრდილი აგრესია კრემლმა თავდაპირველად საქართველოსადმი გამოავლინა: 15 წელი სრულდება 2008 წლის აგვისტოს ომიდან, მაგრამ ეს ტკივილი არ ცხრება. იმ დღეების ექო ახლაც ხმიანობს: სიკვდილით გაჯერებული დღეები, ოკუპირებული სოფლები, სახლები, ეზოები, ასობით დახოცილი, ათასობით დაჭრილი, ათიათასობით ლტოლვილი საკუთარ ქვეყანაში და საბოლოოდ ოკუპირებული სამაჩაბლო... მაშინ, სამწუხაროდ, დასავლეთი თავის სამაღლეზე არ იდგა, რამაც რუსეთს გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელების საშუალება მისცა. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ ნებისმიერი კონფლიქტის თავიდან აცილება შეიძლება, თუ ორივე მხარეა ამით დაინტერესებული. ფაქტობრივად, რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში 90-იანი წლების დასაწყისიდან ვართ. ვერავინ უარყოფს, რომ კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციასთან, ანუ რუსეთი ვერ ეგუება ჩვენს დასავლურ კურსს, მოკლედ ვიტყვი: გამსახურდიას მთავრობის ჩამოგდებაში რუსეთი ფარულად მონაწილეობდა, შევარდნაძის მმართველობისას აფხაზეთი მიისაკუთრა, სააკაშვილის დროს აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ამჟამინდელ ხელისუფლებას კი არსებული რეალობის გათვალისწინებას ურჩევს და მცოცავ ოკუპაციას აგრძელებს. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ რუსეთი ქართულ სახელმწიფოებრიობას ებრძვის, 2008 წლის აგვისტოს ომი ამის მაგალითი იყო...

ისმის კითხვა: რეალურად, რა მიზანს ისახავდა რუსეთი ამ ომით და რა იყო მისი მთავარი ამოცანა? ანალიტიკოსთა თქმით, რუსეთს საკუთარი ხედვა და პრეტენზია აქვს თანამედროვე მსოფლიოში. ვერ ეგუება იმას, რომ მისი გავლენის არეალი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შემცირდა. რეალურად, აგრესია საქართველოსადმი იყო გავლენის აღდგენა პოსტსაბჭოთა სივრცეში. უდავოა: რუსეთი ამ ომისთვის დიდი ხანია ემზადებოდა. აგვისტოს მოვლენები იყო რუსეთის გადამწყვეტი ნაბიჯი, შეეჩერებინა საქართველოს ნატოში ინტეგრაცია და ასეც მოხდა! ჩვენ დავისაჯეთ დასავლური კურსის გამო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსოფლიოს მაშინდელმა გეოპოლიტიკურმა განლაგებამ გაწირა საქართველო საომრად. დღეს კონდოლიზა რაისი აცხადებს, რომ ნავთობის ფასების აწევა შეცდომა იყო. საქართველოს მოუწია დასავლეთის შეცდომების გამოსწორება. გარდა ამისა, ისიც ცხადია, რომ სამაჩაბლოში წარმოებულმა 5-დღიანმა ომმა, პრაქტიკულად, შეცვალა ახალი მსოფლიო წესრიგის ძირითადი ასპექტები. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის აგრესია საქართველოსადმი, გარკვეულწილად, დასავლეთის არათანმიმდევრული პოლიტიკის შედეგია, მაინც დადებითად უნდა შეფასდეს კოლექტიური დასავლეთის პოზიცია 2008 წლის აგვისტოს ომში, რადგან 1921 წლის შედეგს ავცდით. საქართველო დარჩა მსოფლიო რუკაზე. ეს ყველაზე დიდი გამარჯვებაა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 2008 წელს აშშ და ევროკავშირი უფრო პრინციპული რომ ყოფილიყვნენ რუსეთის მიმართ, არც ყირიმის ანექსია მოხდებოდა და არც უკრაინის ამჟამინდელი ტრაგედიის მომსწრე გახდებოდა მსოფლიო. დასავლეთმა გაუშვა ის მომენტი, როდესაც რუსეთისთვის ხელების შეკვრა შეიძლებოდა. ასე არ მოხდა. როგორც ვთქვით, დასავლეთის არათანმიმდევრულობა კრემლმა კარგად გამოიყენა - ჯერ ყირიმის ანექსია მოახდინა, შემდეგ სირიაში ასადის რეჟიმი დაიცვა, ახლა კი უკრაინაში ფართომასშტაბიან ომს აწარმოებს.

სამწუხაროდ, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ დასავლეთშიც გავრცელდა აზრი, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება პროვოკაციას წამოეგო და აგრესიას მიმართა, რაც სრული აბსურდია, რადგან საკუთარ ქვეყანაში აგრესიას არავინ ახორციელებს. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ცხინვალის რეგიონი საქართველოს ნაწილია. „ის, რომ საქართველოს თავი უნდა დაეცვა, სავსებით მართებული ნაბიჯი იყო. სწორედ საქართველოს ბრძოლამ თავისუფლებისთვის გახადა შესაძლებელი მსოფლიოს გეოპოლიტიკური ვექტორის შეცვლა. რუსეთმა ამ ომით აქამდე საუკუნეების მანძილზე არსებული გეოპოლიტიკური ღერძი თავდვე ჩატეხა“, - აცხადებს ანალიტიკოსი თეიმურაზ ზაქარიაძე. ვიცით, რომ ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ არ დააკმაყოფილა რუსეთის სარჩელი საქართველოს წინააღმდეგ. კარგია, რომ ახლა მაინც გაირკვა სიმართლე. არადა, ეს სიმართლე დასავლეთმა კარგად იცოდა, თუმცა მაშინ - 2008 წელს რუსეთის გამტყუნება დასავლეთის დღის წესრიგში არ იდგა. ყველას ახსოვს მათი ბრალდებები, თითქოს ქართველებმა განახორციელეს ოსების გენოციდი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. ჯერ ერთი, მართლაც რომ მომხდარიყო ოსების გენოციდი, ამის დამალვა შეუძლებელი იქნებოდა, მეორეც - ევროპარლამენტმა ცალსახად დაასკვნა, რომ პირიქით - ქართველთა ეთნოწმენდა მოხდა, რისი ინიციატორი რუსეთი იყო. დიახ, კიდევ გავიმეორებ - მაშინ დასავლეთი უფრო პრინციპული რომ ყოფილიყო რუსეთის მიმართ, უკრაინის კრიზისი არ მოხდებოდა, მაგრამ მან გადაწყვიტა სირაქლემასავით თავის სილაში ჩაფვლა და რა შედეგი მიიღო ამით? თითქმის არანაირი... ყირიმის ანექსიამ და ახლა ფართომასშტაბიანმა ომმა უკრაინაში მსოფლიო სულ სხვა რეალობის წინაშე დააყენა. კერძოდ, თუ რუსეთის მიმართ არ განხორციელდება მძლავრი ზეწოლა, თუ მას ვერ შეაჩერებენ, მაშინ თავსატეხი თავად ნატოს წევრ სახელმწიფოებსაც შეექმნებათ. ამიტომაც ამოქმედდა ეკონომიკური სანქციები, რამაც შედეგი ნაწილობრივ გამოიღო, რუსეთმა ვერ შეძლო უკრაინის დამორჩილება. პრაქტიკულად, ეს უკანასკნელი იგებს ამ ომს. ისიც ცხადია, რომ თუ დასავლეთი მართლა რეალურად გადაწყვეტს, აამოქმედოს და გაატაროს სანქციების უფრო მძლავრი პაკეტი ანუ რუსეთის სრულ იზოლაციაში მოქცევა, ეს რუსეთს მართლაც საგრძნობლად დააზარალებს, ბევრად უფრო, ვიდრე დასავლეთს. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ ექსპერტები. მათი თქმით, დასავლეთის სახელმწიფოებთან ღია კონკურენციაში რუსეთი აშკარად მარცხდება, რისი დასტურია არა მხოლოდ რუსეთის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ უკრაინის ომში ფიასკო. წელიწადნახევარია კრემლი მხოლოდ ყირიმის, ლუგანსკის და დონეცკის რეგიონის შენარჩუნებას ახერხებს, უკრაინამ კი შეძლო გარკვეული ტერიტორიების განთავისუფლება. არადა, მოსკოვი კიევის სამ დღეში აღებას აანონსებდა. უდავოა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის ექო ახლაც ისმის... მაშინ საქართველომ დიდი მსხვერპლი გაიღო ევროატლანტიკური კურსის ერთგულების გამო, ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენი არმიის გმირულმა ბრძოლამ და დასავლეთის თანადგომამ მტერს ხელი შეუშალა, რომ რეალური მიზანი განეხორციელებინა, ანუ მარიონეტული მთავრობა დაესვა ხელისუფლებაში, თითქმის 28 წელია ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია, რაც დასავლეთმა არ უნდა დაივიწყოს. ჩვენი ბედი ახლა, გარკვეულწილად, უკრაინის ომზე იქნება დამოკიდებული. ამ ომის დასრულების შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, ანუ რუსეთის მარცხი დააჩქარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას, ხოლო თუ უკრაინა დამარცხდა, ეს დასავლეთის ეპოქალური მარცხი იქნება, რაც დასავლეთმა არ უნდა დაუშვას.

> ***„დასავლეთის სახელმწიფოებთან ღია კონკურენციაში რუსეთი აშკარად მარცხდება, რისი დასტურია არა მხოლოდ რუსეთის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ უკრაინის ომში ფიასკო. წელიწადნახევარია კრემლი მხოლოდ ყირიმის, ლუგანსკის და დონეცკის რეგიონის შენარჩუნებას ახერხებს, უკრაინამ კი შეძლო გარკვეული ტერიტორიების განთავისუფლება. არადა, მოსკოვი კიევის სამ დღეში აღებას აანონსებდა***

თანაგვიგრძნობენ:

„ძალიან შოკირებული ვარ იმ სტიქიით, რომელმაც ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა და ნგრევა გამოიწვია საქართველოს რაჭის რეგიონში. სომეხი ხალხისა და სომხეთის მთავრობის სახელით, ისევე როგორც ჩემი სახელით, თანაგრძნობას და თანადგომას გიცხადებთ თქვენ და მოძმე ქართველ ხალხს. დაღუპულთა ახლობლებსა და მეგობრებს სულის სიმტკიცეს ვუსურვებ, დაშავებულებს კი სწრაფად გამოჯანმრთელებას. ამ მძიმე მომენტში ვიზიარებთ მოძმე ქართველი ხალხის ღრმა მწუხარებას“ , - სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი.

* * *

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეიჰუნ ბაირამოვი ქართველ კოლეგა ილია დარჩიაშვილს კურორტ შოვთან მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით ტელეფონით ესაუბრა და ღრმა მწუხარება გამოხატა დაღუპულთა გამო, დაშავებულებს კი გამოჯანმრთელება უსურვა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აზერბაიჯანი ყოველთვის ახლოს არის საქართველოსთან და მზად არის, გაუწიოს ყველა შესაძლო დახმარება სამაშველო სამუშაოების განხორციელებასა და სტიქიური უბედურების შედეგების აღმოფხვრაში.

* * *

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო საქართველოს მხარდაჭერას უცხადებს და ღრმა მწუხარებას გამოთქვამს 2023 წლის 3 აგვისტოს შოვში მომხდარი დამანგრეველი მეწყრის გამო.

„სამძიმარს ვუცხადებთ ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს, საქართველოს მთავრობას და ხალხს.

ამასთან, მადლობას ვუხდით მაშველებს, რომლებმაც დაახლოებით 210 მოქალაქის სიცოცხლე გადაარჩინეს და დაზარალებულებს დახმარება აღმოუჩინეს.

ირანელი ხალხი სოლიდარობას უცხადებს ქართველ ხალხს. ჩვენ გთავაზობთ ყოველგვარ შესაძლო მხარდაჭერას როგორც კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციაში, ასევე გრძელვადიანი რეაბილიტაციის პროცესში.

ვიცით, რომ რეაბილიტაციის პროცესი გრძელი და რთული იქნება, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართველი ხალხი ამ ტრაგედიიდან კიდევ უფრო ძლიერი გამოვა“, - აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

„ვფიქრობთ სტიქიის ზონაში დაკარგულ თუ ჩარჩენილ ყველა ადამიანზე და ვიმედოვნებთ, რომ ისინი უვნებლად დაუბრუნდებიან ოჯახებს. მხარდაჭერას ვუცხადებთ სამაშველო ოპერაციებში ჩართულ ყველა პროფესიონალსა და კერძო პირს“, - ნათქვამია საფრანგეთის საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

* * *

ავსტრიის საელჩომ გაავრცელა განცხადება: „ავსტრიის საელჩო თვალს ადევნებს მიმდინარე სამაშველო და საევაკუაციო სამუშაოებს და გამოთქვამს დიდ იმედს, რომ ყველა ადამიანი, ვინც ჯერ კიდევ რჩება სტიქიის ზონაში ან ითვლება დაკარგულად, სწრაფად და უვნებლად დაბრუნდება სახლში“.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

გაეროს ყველა წევრმა უნდა უთხრას მოსკოვს „საკმარისია“. კმარა შავი ზღვის შანტაჟისთვის გამოყენება. კმარა ეს გაუმართლებელი და უაზრო ომი, - აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე. მისი თქმით, თითქმის 90-მა ქვეყანამ მხარი დაუჭირა აშშ-ის მიერ შემუშავებულ მოკლე კომუნიკეს, რომელშიც ისინი ვალდებულებას იღებენ, მიიღონ ზომები, რათა შეწყდეს საკვების ომის იარაღად და მშვიდობიანი მოსახლეობის შიმშილის ომის ტაქტიკად გამოყენება. შეერთებული შტატები 362 მილიონ აშშ დოლარის დაფინანსებას გამოყოფს აფრიკის 11 ქვეყანასა და ჰაიტიში სასურსათო დაუცველობის დასაძლევად და მდგრადობის გასაძლიერებლად.

* * *

პოლონეთის პრემიერ-მინისტრ მატეუშ მორავეცკის განცხადებით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დესტაბილიზაციის მიზნით, ნატოს აღმოსავლეთ ფლანგთან კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ მებრძოლების გადასროლა მიმდინარეობს. მისივე თქმით, ნატოს წევრებმა უნდა გააცნობიერონ, რომ პროვოკაციების რიცხვი გაიზრდება, რადგან „ვაგნერი“ განსაკუთრებით საშიშია. გავრცელებული ინფორმაციით, „ვაგნერელების“ რაოდენობა ბელარუსში უკვე 4 000-ს აღემატება.

* * *

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ კირიაკოს მიცოტაკასის განცხადებით, დიდი ხნის არსებული უთანხმოების მიუხედავად, მისმა მთავრობამ მეზობელ თურქეთთან პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესების ახლად გაჩენილი ნიშნები სრული მოცულობით უნდა გამოიყენოს. მისივე თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ თურქეთმა არსებითად შეცვალა პოზიცია ორ ქვეყანას შორის არსებულ უთანხმოებებზე. „თურქეთმა უარი უნდა თქვას საბერძნეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ და უკანონო ქმედებებზე. ნატოს ვილნიუსის სამიტზე თურქეთის პრეზიდენტთან კომუნიკაციის ახალ ხაზებზე და სიმშვიდის პერიოდის შენარჩუნებაზე შევთანხმდით“, - განაცხადა საბერძნეთის პრემიერმა.

* * *

შეერთებულმა შტატებმა ისრაელს ნება დართო, საჰაერო თავდაცვის სისტემა „დავითის შურდული“ ფინეთს მიჰყიდოს. ფინეთმა ნატოში გაწევრიანების შემდეგ განაცხადა, რომ აღნიშნული სისტემის შეძენა სურდა. ამას აშშ-ის თანხმობა სჭირდებოდა, რადგან აღნიშნული თავდაცვის სისტემა ისრაელთან ერთად შეიმუშავა. გარიგების ღირებულება დაახლოებით 316 მილიონი ევროა. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ისრაელი „დავითის შურდულის“ საჰაერო თავდაცვის სისტემას სხვა ქვეყანას მიჰყიდის.

* * *

ევროკავშირის საბჭომ ბელარუსის წინააღმდეგ ახალი სანქციები შემოიღო უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი შეჭრის მხარდაჭერისთვის. „სანქციების თანახმად, გაფართოებულია ბელარუსში კრიტიკული საქონლისა და ტექნოლოგიების ექსპორტზე დაწესებული აკრძალვა, რაც ამ ქვეყნის სამხედრო და ტექნოლოგიური პოტენციალის გაძლიერებას შეუშლის ხელს“, - ნათქვამია განცხადებაში.

მოამზადა
ია შველიძემ

«ბუნებრივი კატაკლიზმების თავიდან ასაცილებლად საჭირო თანხების დაზოგვა დანაშაულის ტოლფასია»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ბუნებრივი კატასტროფები აჭარის მთიანეთის სოფლებისთვის უცხო აღარაა. სწორედ ამის გამო ნახევარი საუკუნის განმავლობაში აქედან ქვეყნის 40-ზე მეტ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში 10 ათასი ოჯახი გადავიდა

გამორჩეული მაინც სამცხე-ჯავახეთი, თრიალეთის ზეგანი, გარე კახეთი, აჭარის ბარის ტერიტორიებია. უკვე დაცარიელების საფრთხის წინაშეა 15-ზე მეტი სოფელი, 30-მდე მცირედ დასახლებული უბანი. მეწყრული პროცესები, ზვავები საშიშროებისა და საფრთხის წინაშე აყენებს ათეულობით ოჯახს... ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების ხელმძღვანელი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი ***რობერტ დიაკონიძე.***

- 3 წელია, აჭარის მთიანეთში საქმიანობთ. ამ ეტაპზე თქვენი ჩამოსვლა რა მიზანს ემსახურება?

- პირველ რიგში, მადლობა თქვენი გაზეთის რედაქციას, რომ ჩვენი ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის გივი გავარდაშვილის, ცალკეული მეცნიერის, თუნდაც ჩემი საქმიანობით ინტერესდება. ჩვენ ვამუშავებთ მეთოდიკას, რათა გავცეთ ღვარცოფული მოვლენების, წყალდიდობის პროგნოზი, თავიდან ავიცილოთ ადამიანთა მსხვერპლი და რა თქმა უნდა, ინფრასტრუქტურის დაზიანება. გვაქვს სამწლიანი გამოცდილება, საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, რელიეფის სხვადასხვაობის გამო, ეროზიული, სტიქიური მოვლენები რეგიონებში სხვადასხვაგვარია. ექსტრემალური პროცესები: ეროზია, ღვარცოფი, მეწყერი განსხვავებულად მიმდინარეობს. ჩვენ შერჩეული გვაქვს ქვეყნის მასშტაბით 7 რეგიონი. სპეციალურ დამოკიდებულებებს, ფორმულებს ვიღებთ, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, გავცეთ პროგნოზული სიდიდეები - თუ რა მასშტაბის ღვარცოფი შეიძლება წამოვიდეს. წინსწრებად თუ გვეცოდინება მოსალოდნელი საფრთხე, თავიდან აცილება არა, მაგრამ ადამიანთა მსხვერპლი გამოირიცხება. ეროზიული და ექსტრემალური სიტუაცია შეიძლება არ იყოს დამოკიდებული ქვეყნის მთავრობასა და ცალკეულ პიროვნებაზე. დღეს პლანეტაზე კლიმატის ცვლილება ხდება. ადრე, თუნდაც შუახევის მაგალითზე, ნალექების თვიური ნორმა იყო 200 მმ. ახლა უკვე ეს რაოდენობა 3 დღეში მოდის. მშრალი ხევები, რომელიც წელიწადის მეტწილ დროს ცარიელია, წყლით იტვირთება, ისეთივე კალაპოტებად იქცევა, როგორც მდინარის, რომელშიც წყლის ნაკადი ფორმირდება, შეუიარაღებელი თვალით ჩანს ჩაღრმავებული კალაპოტები. ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, პრევენციული ღონისძიებებია გასატარებელი. წინასწარ თუ გამოვთვლით პოტენციურ შესაძლებლობას, რა სიმაღლის წყალმა უნდა იდინოს, საწინააღმდეგო ღონისძიებასაც განვსაზღვრავთ. სახელმწიფო აუმჯობესებს საგზაო ინფრასტრუქტურას, გაკეთებულია ფერდსამაგრი კედლები, გაყვანილია სანიაღვრე არხები, მიმდინარეობს ტერიტორიების გატყიანება როგორც ხელოვნურად, ისე ბუნებრივად... თუმცა, მაინც ვერ გეტყვით, რომ ყველაფერი გაკეთებულია. ბუნებასთან ჭიდილი რთულია, მაგრამ წინასწარი პროგნოზი მაინც ანგარიშგასაწევია.



- აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ტყეების გაშენებას. ჩვენ მთები მოგვიშიშვლდა. როგორც მეცნიერი, რა რეცეპტს გვთავაზობთ ამ «სენის» სამკურნალოდ?

- 20 წელია, მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, აჭარის მთიანეთში მოვდივარ. ბუნებრივი კატასტროფების განვითარებას კლიმატის ცვლილებების გარდა, ტყეების ხელაღებით გაჩეხვაც უწყობს ხელს. ხე იჭრება იმ ტერიტორიებზე, სადაც ტყეს შემაკავებელი ფუნქცია ჰქონდა, რაც, ფაქტობრივად, უკვე დაკარგა. პრაქტიკით დასტურდება, რომ აჭარის კლიმატი ტყეების განახლებას ხელს უწყობს, მაგრამ ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მაღლა მდებარე ტერიტორიებზე ეს უნარი ნაკლებად ვრცელდება. მინიმუმ ასი წელია საჭირო, ბუნებრივი აღმონაცენი რომ გაიზარდოს და ზვავი, ღვარცოფი შეაკავოს. ბოლო დროს ამ მიმართულებითაც საქმე დადებითისკენ იხრება, თუმცა ბრაკონიერებმა თავისი მაინც არ მოიშალეს. ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ ტყის ფასი და საფარ ტყეს ცულს არ გააკარებდნენ. ხშირი ტყე, როცა ზედაპირული ჩამონადენი ფორმირდება, მათ აკავებს, გადინება სხვაგვარად მიმდინარეობს. ტყის ჰუმუსი ჩაყონვასაც ეხმარება. მეწყერი მაშინ წარმოიქმნება, როცა ორ წყალგამტარსა და წყალგაუმტარ ფენას შორის წყალი მოძრაობს. ზედა ფენა, როცა სიმძიმე მატულობს და დახრილობის კუთხე 25 გრადუსზე მეტია, გრავიტაციული ძალის გამო, აისხლიტება და მოძრაობას იწყებს. მარტო ტყის გაშენებაც არაა საკმარისი. ტერიტორიას, რომელიც წყალს შეჩვეული არაა, ეკეთება ლოკალური ბარდები, ეს ბარდები ბუნებრივ ბარიერად ემსახურება. ეროზიულ ადგილებში ბალახი ეფარება, ბალახი ფესვებს ჩაიყრის, ეროზია ნელდება. ეროზიულ ადგილებში ბალახი ეფარება, ბალახი ფესვებს ჩაიყრის, ეროზია ნელდება. ეროზიულ ადგილებში ბალახი ეფარება, ბალახი ფესვებს ჩაიყრის, ეროზია ნელდება.

> ***„გაჩენილია ახალი ბზარები, რაც შესაძლებელია, ნაპრალებსა და ჩამოქცევის პროცესებში გადაიზარდოს. გზაზე დაგებულ ბეტონსაც კი დაშლა აქვს დაწყებული. ბზარები ას მეტრზე მეტ მანძილზე ვრცელდება. მეწყრული პროცესები დაჩქარებულია. ამ ყველაფერს კლიმატის ცვლილებას მივაწერთ. დროის მოკლე მონაკვეთში მაღალი ინტენსიობის ნალექი როცა მოდის, პრევენციული და შემდგომი ღონისძიებებია საჭირო. თანამედროვე ნაგებობები ამის საფუძველზე უნდა გავთვალოთ***

- ბუნებრივი კატასტროფები აჭარის მთიანეთის სოფლებისთვის უცხო აღარაა. სწორედ ამის გამო ნახევარი საუკუნის განმავლობაში აქედან ქვეყნის 40-ზე მეტ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში 10 ათასი ოჯახი გადავიდა

- ამ და ყველა სხვა დასახლების შენარჩუნება აუცილებელია. ჯერ ერთი, ულამაზესი დასახლებაა და მეორეც, დიდ ისტორიასთანაა კავშირში. თუ მიზანმიმართულად ვიმოქმედებთ, ბევრ კატაკლიზმს ავიცილებთ. წყალდიდობა საშიში შეიძლება არ იყოს, მაგრამ კალაპოტის გადაკეტვის შემთხვევაში, ღვარცოფი აღარაფერს დაინდობს. კვლევების საფუძველზე დავდებთ დასკვნას, რომელიც შორეულ გათვლებზე იქნება ორიენტირებული. ამ ეტაპზე მდინარეების კალაპოტია გასაწმენდი, უნდა გაიწმინდოს ჭალა ეკალ-ბარდებისა და ბუჩქებისგან. არც მრავალჯერადი ელასტიკური ბადეების ჩადგმას გამოვრიცხავთ. გვახსოვს, მეწყრულმა პროცესებმა აჭარის მთიანეთში ადამიანები რომ შეიწირა. მოულოდნელობისგან ერთი წუთითაც არ ვართ დაზღვეული. საიგი უნდა მოვაშოროთ - უნდა გაკეთდეს სპეციალური გასასვლელი. იმასაც გეტყვით, რომ მეწყრის შეჩერება ძალიან რთულია, შერბილება, გაფრთხილება კი შესაძლებელი.

- შუახევში ერთი ლოკაცია - მდინარეების ქვაბთისწყლისა და ტბეთისწყლის ხევები გაქვთ შერჩეული. იქ რა მდგომარეობაა?

- ეს ლოკაცია ჟურნალისტების თანდასწრებით შევარჩიეთ. წელს უხვთოვლიანი და უხვნალექიანი ზამთარი, გაზაფხული და ზაფხული იყო, რამაც უარყოფითი კვალი დატოვა. გაჩენილია ახალი ბზარები, რაც შესაძლებელია, ნაპრალებსა და ჩამოქცევის პროცესებში გადაიზარდოს. გზაზე დაგებულ ბეტონსაც კი დაშლა აქვს დაწყებული. ბზარები ას მეტრზე მეტ მანძილზე ვრცელდება. მეწყრული პროცესები დაჩქარებულია. ამ ყველაფერს კლიმატის ცვლილებას მივაწერთ. დროის მოკლე მონაკვეთში მაღალი ინტენსიობის ნალექი როცა მოდის, პრევენციული და შემდგომი ღონისძიებებია საჭირო. თანამედროვე ნაგებობები ამის საფუძველზე უნდა გავთვალოთ. ორივე მდინარის ხევებში ჩამდინარე წყლებს ადგილი დროზე უნდა მივუჩინოთ.

- თქვენი ინსტიტუტის რეკომენდაციებს თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები როგორ ითვალისწინებენ?

- რა გითხრათ... არის შემთხვევები, როცა ითვალისწინებენ, ზოგჯერ საპირისპიროც ხდება. აჭარის პირობებში კიდევ რამდენიმე ლოკაცია გვქონდა შერჩეული, მათ შორის, სხალთის, მარეთის ხეობებში, დავწერეთ დასკვნები თემატური შესწავლის შესაბამისად. ჩვენმა დასკვნებმა გაამართლა. კარგია, რომ თუნდაც ერთ სკოლას საყრდენი კედელი ამოუყვანეს, ერთ ტერიტორიაზე შენობის აგებას აპირებდნენ და სხვაგან გადაიტანეს. ბიუჯეტი, თანაც მწირი, ყველაფერს ვერ გაწვდება. ადგილობრივი თვითმმართველობების დადანაშაულება მართალი არ იქნება, სახელმწიფომაც უნდა იზრუნოს, თუმცა დიდად არც ქვეყანას ულხინს და მაინც, ბუნებრივი კატაკლიზმების თავიდან ასაცილებლად საჭირო თანხების დაზოგვა დანაშაულის ტოლფასია.

- უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში, წლების წინ, ზაფხულის წყალმოვარდნებმა სერიოზული ზარალი მიაყენა კვირიაულის დასახლებას. ახლაც ხომ არ ემუქრება საფრთხე?

- ამ და ყველა სხვა დასახლების შენარჩუნება აუცილებელია. ჯერ ერთი, ულამაზესი დასახლებაა და მეორეც, დიდ ისტორიასთანაა კავშირში. თუ მიზანმიმართულად ვიმოქმედებთ, ბევრ კატაკლიზმს ავიცილებთ. წყალდიდობა საშიში შეიძლება არ იყოს, მაგრამ კალაპოტის გადაკეტვის შემთხვევაში, ღვარცოფი აღარაფერს დაინდობს. კვლევების საფუძველზე დავდებთ დასკვნას, რომელიც შორეულ გათვლებზე იქნება ორიენტირებული. ამ ეტაპზე მდინარეების კალაპოტია გასაწმენდი, უნდა გაიწმინდოს ჭალა ეკალ-ბარდებისა და ბუჩქებისგან. არც მრავალჯერადი ელასტიკური ბადეების ჩადგმას გამოვრიცხავთ. გვახსოვს, მეწყრულმა პროცესებმა აჭარის მთიანეთში ადამიანები რომ შეიწირა. მოულოდნელობისგან ერთი წუთითაც არ ვართ დაზღვეული. საქმეს რაც სჭირდება, უნდა გაკეთდეს. იმ წლებში ბუნებამ გაგვაფრთხილა, რომ ადამიანები უნდა დავიცვათ.

- 7 ივლისს სტიქიამ სერიოზული ზიანი დატოვა, რომ არა გამაფრთხილებელი ღონისძიებები, ნგრევას, ზარალს ადამიანების მსხვერპლიც მოჰყვებოდა.

- მთავარია, ადამიანების მსხვერპლი ავიცილოთ. თქვენს პირობებში ნათესი ფართობები დამრეც ფერდობებზეა და ინტენსიური ნალექიანობის ჩამორეცხვის მაჩვენებელიც მაღალია. ასეთ შემოტევას უნდა გავუძლოთ, მის მიმართ უძლურნი ვართ.

- წარმატებული მეცნიერი ხართ, გამოცდილებას ახალგაზრდებს რა ფორმით უზიარებთ?

- ლექციებს ვკითხულობ ტექნიკურ უნივერსიტეტში, უკვე რამდენიმე დოქტორანტი და მაგისტრანტი მოვამზადე. ვარ სახელმძღვანელოების ავტორი. ჩვენი ინსტიტუტი ახალგაზრდებთან მუშაობითაა დაკავებული. ყველა ვემადლიერებით ინსტიტუტის დირექტორს ბატონ გივი გავარდაშვილს. შუახევშიც მარტო არ ვარ. ჩემთან ერთად არიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი მუშაკი, დოქტორი ლევან წულუკიძე, კარგი სპეციალისტი, მეცნიერი ირაკლი კვირკველია, რომლის მამა ცნობილი გეოლოგი იყო.

- რამდენად გამართლებულია აჭარის მთიანეთში ჰესის მშენებლობა?

- ბუნება ყველაფერს თავად აწესრიგებს, ჩარევაც აუცილებელია, ჩვენი პირობებიდან გამომდინარე. ჩვენ ჯერ კიდევ არ გვყოფნის ენერგორესურსები, ჰესების მშენებლობა აუცილებელია, მაგრამ თუ ყველა საინჟინრო ვალდებულებებს დავიცავთ, არაფერიც არ მოხდება. მსოფლიოს რკინა-ბეტონის კაშხლის დანგრევის ფაქტი არ ახსოვს. ჰესების გავლენა კლიმატურ ცვლილებებზე ძალიან მცირეა.

- რას ურჩევთ ადგილობრივ მოსახლეობას?

- სიფრთხილესა და სიფხიზლეს.

* * *

ინტერვიუს ჩაწერიდან რამდენიმე საათის შემდეგ რაჭაში სტიქიამ იმძლავრა. ბატონ რობერტს ამ მოვლენაზე კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ: «იმ რეგიონებს შორის, სადაც ბუნებრივი კატასტროფების კვლევა მიმდინარეობს, რაჭაცაა. აჭარის მთიანეთის მსგავსად, წინმსწრები დასკვნები იქ მიმდინარე პროცესებზეც გვაქვს გაკეთებული, მაგრამ წელიწადის ამ დროს ასეთი მასშტაბური კატასტროფა იშვიათობაა. თანაგრძნობას ვუცხადებ დაღუპულთა ოჯახებსა და დაზარალებულებს».

შესაძლებელია კი საავტომობილო და სარკინიგზო ტრანზიტი რუსეთიდან... საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გავლით?!

ეს კითხვა სულაც არ გახლავთ რიტორიკული, რადგან მოსკოვში მიაჩნიათ, რომ საავტომობილო და სარკინიგზო ტრანზიტის დაწყება ოკუპირებული აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის გავლით „საკმაოდ მიღწევადია“. ამის შესახებ TACC-თან ინტერვიუში დსთ-ს ქვეყნების მეოთხე დეპარტამენტის დირექტორმა დენის გონჩარმა განაცხადა.

„რუსეთსა და სომხეთს შორის აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს გავლით სატრანზიტო კომუნიკაციის საკითხი პერიოდულად განიხილება ერევანთან კონტაქტების დროს, იმის გათვალისწინებით, რომ მისი ობიექტური ინტერესია დამატებითი სატრანსპორტო დერეფნების გახსნა, რომლებიც დაუკავშირებს ჩვენს ქვეყნებს საქართველოს სამხედრო გზატკეცილთან ერთად. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ეს ხელს შეუწყობს რეგიონის სატრანსპორტო, ლოგისტიკური და სატრანზიტო პოტენციალის გამოვლენას და იმუშავებს სამხრეთ კავკასიის ყველა ქვეყნის ინტერესებისთვის. მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა საკმაოდ მიღწევადია, თუ ყველა დაინტერესებული მხარე იხელმძღვანელებს პრაგმატული ინტერესებით და გაითვალისწინებს რეგიონში არსებულ რეალობას“, - განაცხადა გონჩარმა.

ამირან გურიელიძე

1937-1938 წლებში ბათუმში დახვრეტილ რეპრესირებულთა სია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ვაგრძელებთ ბათუმში 1937-38 წლებში დახვრეტილ რეპრესირებულთა სიის გამოქვეყნებას, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ სიას „აჭარის ა რ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათ შთამომავალთა სოციალური დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ თხოვნით ვაქვეყნებთ, რათა რეპრესირებულთა შთამომავლები გამოეხმაურონ აღნიშნული „მემორიალის“ ხელმძღვანელ ზურაბ ზაქარიაძეს ყოველდღე, 18:00 საათიდან მობილურის ნომერზე - 595721416, იმ მიზნით, რომ ორგანიზებულად ჩატარდეს დნმ-ის ანალიზის აღება რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისაგან. სულ სიაში 1050 ადამიანია, რომელთა ვინაობას გაგრძელებებით, სრულად შემოგთავაზებთ გაზეთის შემდეგ ნომრებში.

დახვრეტის თარიღი - 01/01/1938

609. ირემაძე აჰმედ იდრისის ძე
610. ბოლქვაძე გენჯალი ახმედის ძე
611. ჩახვაძე მუსტაფა იუსუფის ძე
612. ზოიძე ჰუსეინ ისმაილის ძე
613. ფაღავა დურსუნ მემიეს ძე
614. ამირიდი თევდორე ვასილის ძე
615. ლორთქიფანიძე ნიკოლოზ პეტრეს ძე
616. ვარშანიძე (ახმედ ოღლი) ჰასან ახმედის ძე
617. სიორიძე პლატონ ლონგინოზის ძე
618. სიხარულიძე ტარას ეპიფანეს ძე
619. ყურაშვილი ტარას ქაიხოსროს ძე
620. თურმანიძე მერდიალი ოსმანის ძე
621. შულგოვსკი ანატოლი პეტრეს ძე
622. გეინი ვიქტორ ვლადიმერის ძე
623. მჟავანაძე დურსუნ მემედის ძე
624. სტეფანოვი სერგო სერგოს ძე
625. ვეისი ალადარ კარლოს ძე
626. ბეილი ოტო ვილჰელმის ძე
627. ნაკაიძე ჰუსეინ ახმედის ძე
628. საფაროვი სურენ პეტროსის ძე
629. შავიშვილი ანდრო მიხეილის ძე
630. ნესტეროვი ტიხონ სიმონის ძე
631. კონცელიძე ჰასან იუსუფის ძე
632. მენაღარიშვილი ნური სულეიმანის ძე
633. ჯიჯავაძე დურსუნ აგაპის ძე
634. დიკერმანი ვენიამინ ისაკის ძე
635. შტამი ოლგა კარლოს ასული

დახვრეტის თარიღი - 08/01/1938

636. ქავთარ ოღლი მამედ ალი ულფანის ძე
637. ქავთარაძე ჰუსეინ იუსუფის ძე
638. ოტობაშ ოღლი აგანი (იუსუფ) ხესნის ძე
639. იაგგი ვალტერ გოტფრიდის ძე
640. პოპანდოპულო აბრაამ შტავროს ძე
641. ბასილაძე შუქრი კაგრიმანის ძე

642. თურმანიძე ჰასან ქემალის ძე
643. მალაყმაძე იუსუპ ფელულის ძე
644. ტეტემაძე ეიუბ ხასანის ძე

დახვრეტის თარიღი - 12/01/1938

645. ვასილევი ივანე სტეფანეს ძე
646. გერგეი ლუდვიგ ივანეს ძე
647. ფაღავა სულეიმან შევკეთის ძე
648. ბუზრაზუმი სუგულმატ უდოდასის ძე
649. ლინჩევსკი ვიქტორ ვლადისლავის ძე
650. ვოლოშენკო ალექსი ალექსის ძე
651. მხითაროვი ლუკა მხითარის ძე
652. ზოიძე სულეიმან ქიბარის ძე
653. სტანკევიჩი ვიქტორ ანტონის ძე
654. ბეჟანიძე ასლან ოსმანის ძე
655. კურტ ოღლი ნაზიმ ჰასანის ძე
656. სარჯველაძე თევრათ მემედის ძე
657. რევაზიშვილი დურსუნ ასლანის ძე
658. ზიპპი ისაია ეფიმეს ძე
659. გეზენკო გიორგი ანუფრის ძე
660. ინასარიძე ლევან ალექსის ძე
661. თედორაძე აჰმედი იუსუფის ძე
662. კაზარიანი ვარლამ სერგოს ძე
663. ყურშუბაძე მოწიფულ ოღლი ჰუსეინ სულეიმანის ძე

დახვრეტის თარიღი - 19/01/1938

664. ეკუა სიმონ მელიტონის ძე
665. გოლიაძე ალექსანდრე მაქსიმეს ძე
666. ბაღდასაროვი სუმბათ არშაკის ძე
667. დოლიძე იპოლიტე მელენტის ძე
668. ივანოვი სიმონ გრიგოლის ძე
669. ევტუხოვი ფიოდორ დიმიტრის ძე
670. კირილოვი ალექსანდრე ვასილის ძე
671. ელკინი ვასილ იაკობის ძე

დახვრეტის თარიღი - 23/01/1938

672. გოგიტიძე ჰუსეინ (ჰასან) ჰუსეინის ძე

დახვრეტის თარიღი - 26/01/1938

673. სიხარულიძე კონსტანტინე სემიონის ძე

დახვრეტის თარიღი - 29/01/1938

674. კოზაკი ივანე რომანის ძე
675. კოპჩევსკი კაზიმირ კარლის ძე
676. დელიარუი სტანისლავ ალექსანდრეს ძე

დახვრეტის თარიღი - 18/02/1938

677. რამიშვილი გიორგი ქიშვარდის ძე
678. დეგიკიძე ილიას შერიფის ძე
679. გოგიბერიძე ვახტანგ იაკობის ძე
680. კვაჭანტირაძე მოსე სოლომონის ძე
681. კიღურაძე სტეფანე იოსების ძე
682. ფესვიანიძე გიორგი ვიქტორის ძე
683. სიხარულიძე ივანე დავითის ძე
684. მოწყობილი ახმედი ხულუს ძე
685. გუჯაბიძე გერმანე ვახტანგი- ძე
686. ჯაშია გიორგი პახომის ძე
687. კახიძე აბდულა მემედის ძე
688. კეკეჯანი ოღლა სტეფანეს ასული
689. ცოტაძე პორფირე ალექსანდრეს ძე
690. ჭანუყვაძე ვლადიმერ ივანეს ძე
691. მახარაძე ვასილ ბესარიონის ძე
692. კამატაძე (ქათამაძე/ ქამადაძე) ხულუსი ეიუბის ძე
693. სამხარაძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე
694. ელმასიანი ლეონ სიმონის ძე
695. ჯემილ ოღლი სელიმ ჯემილის ძე
696. კაკაბაძე ნაიმე სულეიმანის ასული
697. ბერიძე მემედ არიფოს ძე
698. არძენაძე რამიზა მამედის ძე
699. დუმბაძე ეიუბ ხუშუტის ძე
700. ხალვაში ალი ახმედის ძე
701. ჭყონია ფაცია გიორგის ასული
702. დილბერიანი დიმიტრი ივანეს ძე
703. ჩებინოვი ალიფაიკა ხაფიზის ძე
704. ებანოიძე პარმენი ეფიმეს ძე
705. მაკანდაროვი ილარიონი ივანეს ძე
706. ავაქოვი გიორგი (გარეგინ) მანუკის ძე
707. თოდუა ეპიფანე ლეონტის ძე
708. ნინიძე ვლადიმერ ყარამანის ძე
709. ლორთქიფანიძე გიორგი კონსტანტინეს ძე
710. კასრაძე იასონ ლეონტის ძე
711. ლალაძე გიორგი შიოს ძე
712. ბეგალოვი იოსებ თომას ძე

დახვრეტის თარიღი - 07/03/1938

713. პეტროვი ევგენი მიხაილის ძე
714. ხუსკივაძე იოსებ თეოფილეს ძე
715. თავდგირიძე ოსმან ჰუსეინის ძე
716. გორგაძე გრიგოლ ვასილის ძე
717. ცინცაძე არჩილ ასალის ძე
718. პოპკოვი ლავრენტი ეფიმის ძე
719. სიმონიძე შალვა აკაკის ძე
720. დოლიძე გრიგოლ მათეს ძე
721. პელუტ ოღლი მეჰსუტ პეხლუტოს ძე
722. ჩალ ოღლი მუსტაფა მემედის ძე
723. ირი ახმედ ოღლი ჰარუნ ხასანის ძე
724. კადი ოღლი მაიდან
725. დაუდ ოღლი ოსმანა ხემიდის ძე
726. კურ ოღლი ვაგაბ ხასანის ძე
727. კამბურ ოღლი ადემი მამედის ძე
728. ხოჯი ოსმან ოღლი მუჰამედ ალის ძე
729. ბატალ ოღლი რეფიკ მემედის ძე
730. წითელაძე ოსმან ახმედის ძე
731. ვაშაყმაძე იბრაჰიმ ხუსეინის ძე
732. ეგოზარიანი ეგოზარ არივშეტის ძე
733. კამბურ ოღლი შევკი ბაირამ ალის ძე
734. ბაბაიანი არშაკ გასპარის ძე
735. ბოლქვაძე იდეატ ახმედის ძე
736. ჩუდნიი ფიოდორ ფიოდორის ძე
737. გენჯალ ოღლი შაბანი ისმაილის ძე
738. ერზერუმ ოღლი ჰასან მუსტაფას ძე
739. დევრიშ ოღლი შაინ
740. სურმანიძე ჰამზა ხასანის ძე
741. დუმბაძე იბრაგიმ კუჩუკ ალის ძე
742. ჩხაიძე ზაქრო ერმილეს ძე
743. ნემჩენკოვი პეტრე მიხაილის ძე
744. დევაძე მამია ისლამის ძე
745. კაბა მამედ ოღლი ჰემზე იაკუბის ძე
746. ხაჯი ოღლი აბდულ ყადირ ჰუსეინის ძე
747. დუმბაძე აბდულა ხასანის ძე
748. ვანლი ოღლი აჰმედ მემედის ძე
749. კაბა მამედ ოღლი იაკუბ ომერის ძე
750. კურ ოღლი მუჰამედ ხასანის ძე
751. უზუნ ოღლი აჰმედ ოსმანის ძე

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი «აჭარა» №№80, 81, 82, 83.

უკრაინა

რუსმა სამხედროებმა ხერსონში ეკლესია დაბომბეს, დაჭრილია სამი ადამიანი. ინფორმაციას ხერსონის საოლქო სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრ პროკუდინი ავრცელებს. „დარტყმა წმინდა ეკატერინეს ეკლესიაზე განხორციელდა. დაჭრილია ტროლეიბუსის სამი მგზავრი, ერთი მძიმე მდგომარეობაშია“, - განაცხადა პროკუდინმა. მისივე თქმით, პირველი დარტყმის შემდეგ მიმდინარე სამაშველო ოპერაციის დროს ეკლესია მეორედ დაიბომბა. „მაშველებზე თავდასხმებს რუსი სამხედროები ომის პირველი დღიდან ახორციელებენ“, - დასძინა მან.

* * *

შტურმები ძალიან სასტიკია, მაგრამ უკრაინის თავდაცვის ძალები დომინირებენ. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ვიდეომიმართვისას განაცხადა. „ბრძოლები რთულია. ოკუპანტები მთელი ძალებით ცდილობენ ჩვენი ბიჭების გაჩერებას. შტურმები ძალიან სასტიკია. კუპიანსკის, ლიმანსკის, ბახმუტის, მარინკას, ავდიივკას მიმართულებები, სამხრეთის მიმართულებები - მარტივი სიტუაცია არსადაა, მაგრამ მტერი რასაც უნდა აკეთებდეს, სწორედ უკრაინული ძალა დომინირებს და ამისთვის ფრონტზე ყველა კაცსა და ქალს ვუხდი მადლობას!“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინამ ამერიკის შეერთებულ შტატებთან უსაფრთხოების გარანტიების შესახებ ორმხრივ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები დაიწყო, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, უკრაინის დელეგაციას პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ანდრეი ერმაკი ხელმძღვანელობდა. „სიმბოლურია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ჩვენი უდიდესი სტრატეგიული პარტნიორი, გახდა პირველი ქვეყანა, რომელთანაც უკრაინამ ეს პროცესი დაიწყო. ამ გზით წარმატებულ მოდელს ვქმნით სხვა პარტნიორებისთვისაც“,- განაცხადა ანდრეი ერმაკმა. უკრაინის ხელისუფლებაში მიიჩნევენ, რომ უსაფრთხოების ეს გარანტიები გააძლიერებს უკრაინის პროგრესს ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში, მათ შორის ევროკავშირსა და ნატოში, გაწევრიანების გზაზე, რაც ქვეყნის საბოლოო მიზანი და უსაფრთხოების ძლიერი გარანტიაა.

* * *

უკრაინელი სამხედროების წვრთნა ამერიკულ F-16-ის გამანადგურებლებზე აგვისტოში დაიწყება. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ 2 აგვისტოს, უკრაინელ დიპლომატებთან შეხვედრაზე განაცხადა. ზელენსკიმ დასავლური საბრძოლო თვითმფრინავების უკრაინის საჰაერო ძალებისთვის გადაცემას საერთაშორისო ფრონტზე რთული და მნიშვნელოვანი ამოცანა უწოდა. „ჩვენი პილოტები ამ თვეში დაიწყებენ წვრთნას. ახლა მნიშვნელოვანია 100%-ით მუშაობა იმ ქვეყნებთან, რომლებსაც აქვთ ეს თვითმფრინავები და შეძლებენ ჩვენთვის გადმოცემას. ეს არის მნიშვნელოვანი, რთული ამოცანა: რაც შეიძლება მალე უნდა გადმოგვცენ F-16-ები და ჩვენმა პილოტებმა უნდა დაიწყონ მათი გამოყენება“, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა. CNN წერს, რომ ის აშშ-ის მთავრობას ევროპელი პარტნიორებისგან ჯერ არ მიუღია გამანადგურებელ F-16-ზე უკრაინელი მფრინავების მომზადების საბოლოო გეგმა და, შესაბამისად, ვერ ადასტურებს საჭიროა აღჭურვილობის გადაცემას. აშშ-მა უნდა დაამტკიცოს სიმულატორების, სასწავლო სახელმძღვანელოების და სხვა მასალების მოსამზადებლად გადაცემა, მაგრამ ჯერჯერობით ადმინისტრაციას არ მიუღია საბოლოო სასწავლო გეგმა, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ-ს ჯერ არაფერი აქვს ხელმოწერილი. პენტაგონმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები ჯერ კიდევ ფიქრობს ამერიკელი მფრინავების უკრაინელების მოსამზადებლად გაგზავნაზე, მაგრამ საბოლოო გეგმის გარეშე ასეთი გადაწყვეტილება ვერ მიიღება. ასევე უცნობია, თუ რომელი ქვეყნები გაგზავნიან გამანადგურებლებს წვრთნებზე.

* * *

უკრაინაში დაიწყო კამიკაძე დრონების წარმოება სახელწოდებით Рубака, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებით ირანული Shahed-136-ის მსგავსია. უკრაინელმა მსახიობმა ვლადისლავ შევჩენკომ გამოაცხადა, რომ 10 მილიონი უკრაინული გრივნა გროვდება 18 Рубака-ს დრონის უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოსთვის შესაძენად. შევჩენკოს თქმით, ახალი დრონის ფრენის დეკლარირებული დიაპაზონი 500 კმ-მდეა. ვიდეოში უკრაინელი სამხედროები ამბობენ, რომ უკრაინის დაზვერვა უკვე იყენებს უპილოტო საფრენი აპარატების შესაძლებლობებს საბრძოლო მოქმედებებში. „მათ უკვე კარგად გამოიჩინეს თავი ბრძოლაში. ზუსტად ვერ გეტყვით, სად, მაგრამ ჩვენ ყველას შეგვეძლო ამ აფეთქების შესახებ Telegram-ზე წაკითხვა“, - ამბობს ის ვიდეოში.

Defense Express-მა გააანალიზა დრონების სურათი და აღნიშნა, რომ ჯერ არ არსებობს მონაცემები მწარმოებლისა და ასეთი აპარატების წარმოების ტემპის შესახებ. სტატიის ავტორებმა ყურადღება გაამახვილეს Рубака-ს ორიგინალურ დიზაინზე - პროპელერი დამონტაჟებულია ცხვირზე და არა უკანა ფიუზელაჟში. „ალბათ ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო მცირე ზომის დრონების ძრავის თავისებურებით, რომელიც აშკარად გამოიყენება ასეთ კამიკაძე დრონებზე. გარდა ამისა, დრონს არ აქვს ოპტოელექტრონული სადგური, რაც შეიძლება ნიშნავდეს, რომ იგი შექმნილია სამიზნეებზე წინასწარ ცნობილი კოორდინატებით დარტყმისთვის და აქვს ინერციული მართვის სისტემა“, - ვკითხულობთ სტატიაში.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

«შუამთობა» - კურორტ ბახმაროს შემოგარენის მთებში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

> ***„ნიგაზეულის, ჭალის, თერნალის, ბრილის, გომარდულის მკვიდრებს მთის სახლები აქვთ კენჭისაყარსა და კიკიბოზე. ადრე მათ მდინარე ქვაბლიანის სათავეში ჩადგმული მიკროჰესი ემსახურებოდა, რომელსაც ყავლი გაუვიდა. მდინარის სათავიდან სოფლებში სასმელი წყლის გაყვანის შემდეგ, ჰესის «გამოსაკვებად» წყალი აღარ დარჩა. მალე ამ მთასაც ექნება დენი. კერჩხიაში ღორჯომის ხეობის წარმომადგენლები საავტომობილო გზას ბეტონის საფარის დასაგებად ამზადებენ. კენჭისაყარსა და კიკიბოზე გამავალი გზით ღორჯომის ხეობის სოფლები კურორტ ბახმაროს უკავშირდებიან***

კურორტ ბახმაროს შემოგარენში არსებულ საზაფხულო საძოვრებზე შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ხეობის სოფლების მეცხოველე ფერმერები ატარებენ ზაფხულს. ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ «შუამთობას» ისინი აღნიშნავენ, თუმცა ისე მასშტაბურად არა, როგორც 15-20 წლის წინათ. ბარის სოფლების დაცარიელების შეუქცევადმა პროცესმა ყველაფერს და მათ შორის საუკუნეების წინათ წამოწყებულ მომთაბარეობის ტრადიციაში და მათ შორის «შუამთობის» დღესასწაულში, გარკვეული კორექტივები შეიტანა. ამ ფონზე შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ბახმაროს მთებში გასულ მეცხოველეებს უყურადღებოდ არ ტოვებს. თითქმის ერთ მილიონამდე ლარი მოხმარდა გრძელგორზე, ყავრიანში, კატრიანზე, კერჩხიაში 10-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზების ლითონის ბოძებით გაყვანას, შიგა ქსელის მოწესრიგებას, ტრანსფორმატორების დადგმას. დაწყებულია და წელსვე დასრულდება მთა კიკიბოზე 10-კილოვოლტიანი ხაზის გაყვანა სოფელ ნაღვარევიდან, რომლის ინიციატორი შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამი მოწვევის დეპუტატი, გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძეა.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერის მოადგილე გურამ ზოიძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ტაკიძე, საკრებულოს ფრაქცია «ქართული ოცნების» თავმჯდომარის მოადგილე მურად ქათამაძე, ბარათაულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებზე გავლით პირველად მთა გორას ეწვივნენ.

- წელს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლების ნაწილი სტიქიამ საგრძნობლად დააზარალა, - გვითხრა მურად ქათამაძემ, - ბარათაულის, წყალსაყრის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში ფერმერები კარგ მოსავალს ელოდებიან. უკვე შემოვიდა საადრეო ხილი, ფერმერების ნაწილმა საადრეო კარტოფილის ამოღება დაიწყო. კარგი პირი უჩანს სიმინდის ნათესებს, ვაზს, საგვიანო ხეხილსა და სხვა ბოსტნეულს. ეს შრომისმოყვარე, გამრჯე, ოჯახსა და ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანების დამსახურებაა.

დეპუტატის ნათქვამი მთა გორაზე მყოფმა მემთეურებმა ეთერ, გულნარა ტარიელაძეებმა, ნინო მიქელაძემ დაგვიდასტურეს. ეთერ ტარიელაძემ სტუმრებს ნაშრომ-ნაამაგარი დაათვალიერებინა. ოჯახი ბოსტნეულის მოყვანასთან ერთად, 10 ძროხასაც უვლის. გორაზე შუქი არ მიეწოდებათ. მუნიციპალიტეტის მერი ამ პრობლემის მოგვარებას შეჰპირდა.

ნიგაზეულის, ჭალის, თერნალის, ბრილის, გომარდულის მკვიდრებს მთის სახლები აქვთ კენჭისაყარსა და კიკიბოზე. ადრე მათ მდინარე ქვაბლიანის სათავეში ჩადგმული მიკროჰესი ემსახურებოდა, რომელსაც ყავლი გაუვიდა. მდინარის სათავიდან სოფლებში სასმელი წყლის გაყვანის შემდეგ, ჰესის «გამოსაკვებად» წყალი აღარ დარჩა. მალე ამ მთასაც ექნება დენი. კერჩხიაში ღორჯომის ხეობის წარმომადგენლები საავტომობილო გზას ბეტონის საფარის დასაგებად ამზადებენ. კენჭისაყარსა და კიკიბოზე გამავალი გზით ღორჯომის ხეობის სოფლები კურორტ ბახმაროს უკავშირდებიან. მომავალში ღორჯომი-ზოტიყელი-ბახმაროს გზაზე ბეტონის საფარის დაგებას დაასრულებენ.

90-მდე მთის სახლი იყო მთა კატრიანზე. ახლა მათი უმრავლესობა გამოკეტილია. 11-მდე ოჯახს ჰყავს გაყვანილი პირუტყვი ამ მთაში. 86 წლის მედინე დავითაძე ყველაზე უხუცესი მემთეურია. ახლა ამ შრომატევად საქმეს ასაკის გამო ვეღარ აუდის, ამიტომაც მთაში რძალი წაიყვანა. ვარდო, მედიკო, ფატუშა დავითაძეები, ხათუნა ქათამაძე, ეთერ ფუტკარაძე მემთეურის საპატიო საქმეს წარმატებით უძღვებიან. მათ სხვებთან ერთად, «მემთეურის შესვენების საათები» იმ კონცერტს დაუთმეს, რომელიც შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულმა ავთენტურმა ანსამბლმა «ჭვანამ» გამართა. მემთეურებმა ცეკვაში შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე და საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე აიყოლიეს. მედინე დავითაძემ მემთეურის შაირები დაამღერა.

- ბავშვობა ამ მთაში მაქვს გატარებული. მშობლები წუთისოფლიდან რომ წავიდნენ და მეუღლესთან ერთად პენსიაზე გავედი, მემთეურობა შევითავსე. სანამ ჯანი მერჩის, აქაურობას ვერ შეველევი. მთაში შრომა, დღეს არსებითად შეიცვალა. ტელევიზორი, ინტერნეტი, მობილური ტელეფონი, საავტომობილო გზა, სახლებში შეყვანილი სასმელი წყალი... ადრე ამაზე არც ოცნებობდნენ. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყურადღებასა და თანადგომას არ გვაკლებს. ამჯერად წყლის აუზების, ტრანსფორმატორის დადგმას, საავტომობილო გზის მოწესრიგებას შეგვპირდნენ, - გვითხრა 80 წელს მიტანებულმა ნოდარ დავითაძემ.

საძოვრების პროდუქტიულობითა და კლიმატით გამოირჩეოდა მთა გრძელგორი. მთის სახლები გამოკეტილი, ზოგიც იავარქმნილი დაგვხვდა ამ მთაში. 100-ზე მეტი სახლი იყო აქ. წელს მთას მხოლოდ 11-მა მემთეურმა ააკითხა.

ახალდაბელი ნაზი და ასლან დავითაძეები 5 ძროხას უვლიან. ზაფხულის სეზონზე 3000-4500 ლარის მეცხოველეობის პროდუქტებს ამზადებენ, ნაწილის რეალიზაციას კურორტ ბახმაროში ეწევიან, დანარჩენები ქვეყნის ბაზარზე გააქვთ.

- მეუღლესაც და მეც ფიზიკური შრომა არ გვიჭირს, მაგრამ იმასაც ვგრძნობთ, რომ ჩვენს შემდეგ შვილები ამ მთას აღარ ამოაკითხავენ, - გვითხრა ასლანმა.

გორაზე, კატრიანზე, გრძელგორზე, ყავრიანში მყოფი მეცხოველეები მიწასაც უვლიან, მაგრამ ზოტიყელში, კერჩხიანსა და ოეკნარში - გამორჩეულად. აქ არიან ოჯახები, რომლებსაც ბოსტნეული (კარტოფილი, ბოლოკი, კომბოსტო) ერთ ჰექტარზე აქვთ დათესილი. უკვე დაწყებულია მარწყვის კრეფა. ამ პროდუქტის რეალიზაცია ბახმაროში ხდება. ისეთი ოჯახებიც დაგვისახელეს, რომლებიც 200-300 კილოგრამ მარწყვს კრეფენ.

ყველა მთაში მისულმა ხელმძღვანელებმა მემთეურებს «შუამთობა» მიულოცეს. «ჭვანის» წევრებმა კონცერტი გამართეს.

კერჩხიანში აქვთ მთის სახლი ახალდაბელ მზია კილაძესა და ზურაბ ზოიძეს. აქაური გარემო და კლიმატი ბახმაროს არ ჩამოუვარდება. ჩემთან ერთად აქ ზესტაფონში გათხოვილი ქალიშვილის შვილებიც არიან, ისვენებენ და ჩვენც გვეხმარებიან, - გვითხრა მზიამ.

- ამ მთებს კარგი პერსპექტივა აქვთ. რიგ კომპანიებს, როგორც ქართულ, ისე უცხოურს, აქ ინვესტიციების ჩადება სურს. დაინტერესება მას შემდეგ უფრო მოიმატებს, რაც ღორჯომის ხეობაზე გავლით, ბახმარომდე ასფალტბეტონისსაფარიანი გზა გვექნება. ქვეყნისა და რეგიონის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, გაისად ხიჭაური-ჭვანის გზაზე ბეტონის საფარის დაგება დასრულდება. არის შესაძლებლობა, სამუშაოები ნაღვარევი-კიკობოს მონაკვეთზეც გაგრძელდეს. «შუმთობის» კვირეულის პერიოდში კურორტ ბახმაროს შემოგარენში არსებულ მთებში ამოვედით, მემთეურებს დღესასწაული მივულოცეთ, ჯერ კიდევ არსებული პრობლემების მოგვარება შევპირდით. ყავიანში, კატრიანსა და გრძელგორზე მისასვლელ გზებს მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია სჭირდება. მოსაშანდაკებელია ვანი-გორა-ბოდიშის საავტომობილო გზის ცალკეული მონაკვეთი. ვეძებთ ალტერნატიულ გზებს მთა გორას ელექტრიფიცირებისთვის. ხულოს მუნიციპალიტეტის მერია მთა ზოტიყელში სტადიონს აშენებს. ჩვენც უნდა ვიფიქროთ კერჩხიანის, ლეკნარის, ყავრიანის, კატრიანისა და გრძელგორის ბაზაზე ერთი სტადიონის მშენებლობაზე. მთაში მემთეურებთან ერთად ზაფხულს ბავშვებიც ატარებენ. მათ ნორმალური დასვენება-გართობა სჭირდებათ, - თქვა ომარ ტაკიძემ.

„ჩვენ თვალწინ სამი ადამიანი წაიღო ღვარცოფმა, იმედი მაქვს, ცოცხლებს იპოვიან“

რაჭაში, სტიქიის ზონაში მოყოლილი ერთ-ერთი მოქალაქე მარიამ ბერიანიძე სოციალურ ქსელში ონის საავადმყოფოს პერსონალსა და ადგილობრივებს გადარჩენისთვის მადლობას უხდის.

„გადავრჩით სასწაულებრივად. ჯოჯოხეთური 4 საათი გამოვიარეთ, რომლის აღსაწერად სიტყვები არ მეყოფა. 2 საათი გავატარეთ ნახევრად ჩაფლულებმა მეწყერში. ჩვენ თვალწინ სამი ადამიანი წაიღო ღვარცოფმა და იმედი მაქვს, ცოცხლებს იპოვიან“, - წერს მარიამ ბერიანიძე.

ამირან გურიელიძე

ბრუცელოზი - ადამიანებში

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთში გამოვლენილი ბრუცელოზის შემთხვევების შესახებ. სტატისტიკურად დაავადების გავრცელების მაღალი რისკი ივლისიდან ოქტომბრამდე პერიოდში ფიქსირდება.

ბრუცელოზი ზოონოზური ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს ცხელების სხვადასხვა ტიპი (რემისიული ან ინტერმისიული ტალღისებური ცხელება, დაბალი სიცხე), ოფლიანობა (ღამით - უპირატესად, არასასიამოვნო, სპეციფიკური სუნის ოფლით), შემცივნება, მიალგია, ართლარგია, ანორექსია, ზოგადი სისუსტე, ჰეპატომეგალია, პოლილიმფადენოპათია. ადამიანის ბრუცელოზი ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს, ახასიათებს ხანგრძლივი მიმდინარეობა, ზოგადი არასპეციფიკური სიმპტომებით, მორეციდივე ციკლით. მიმდინარეობის მიხედვით განასხვავებენ სუბკლინიკურ, ქვემწვავე, მწვავე და ქრონიკულ ფორმებს.

ბრუცელოზით თავდაპირველად ავადდება მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი, ძაღლი... ადამიანზე დაავადების გადაცემა ხდება ინფიცირებული ცხოველებიდან. გამომწვევი აგენტი არის ბრუცელას ბაქტერია. საქართველოში ადამიანის დაავადებების გამომწვევებიდან გვხვდება ძირითადად B. melitensis - აფეთქებების გამომწვევი და B. abortus - სპორადული ავადობის გამომწვევი.

ბრუცელოზით დაავადების რისკი მაღალია დაავადებულ ცხოველებთან კონტაქტისას (მოვლა, მოწველა, დაკვლა...), მისი თერმულად დაუმუშავებელი რძის, მისი პროდუქტების და ხორცის საკვებად გამოყენებისას, სადგომის დასუფთავებისას წარმოქმნილი მტვრის შესუნთქვისას, კონტამინირებული წყლის სასმელად გამოყენებისას. ასევე, შესაძლებელია ინფექციის გადაცემა ტკიპებითაც.

ინფექციის ინკუბაციური პერიოდი ერთი კვირიდან რამდენიმე თვემდე მერყეობს (საშუალოდ, 2-4 კვირა). ადამიანიდან ადამიანზე ინფექციის გადაცემა იშვიათია, შესაძლებელია სისხლის გადასხმისას, ორგანოთა ტრანსპლანტაციისას, სქესობრივი კონტაქტისას, ძუძუთი კვებისას... დაავადების გადატანის შემდგომ განვითარებული იმუნიტეტი ხანმოკლეა და სახეობასპეციფიკური, რეინფექცია შესაძლებელია.

ადამიანი რომ დაცული იქნეს ბრუცელოზისგან, საჭიროა თავად ცხოველის დაცვა ბრუცელოზისგან! ამისათვის საჭიროა თქვენი ცხოველის გამოკვლევები ბრუცელოზზე; ავადმყოფი ცხოველის გამოვლენისას მისი იზოლაცია და ვეტერინართან კონტაქტი; პირადი უსაფრთხოების დაცვა ცხოველების მოვლისას (სპეცტანსაცმელი - რეზინის ხელთათმანები, ხალათი, წინსაფარი, ნიღაბი...), განსაკუთრებით ცხოველთა მშობიარობის, დაკვლა-დამუშავების, სადგომის დასუფთავების, მატყლის დამზადების დროს. ნუ მიიღებთ აუდუღარ რძეს, აუდუღარი რძით დამზადებულ რძის პროდუქტებს, თერმულად არასათანადოდ დამუშავებულ ხორცს საკვებად.

ბრუცელოზით დაავადებული შინაური ცხოველის რძით დამზადებული ყველი მოათავსეთ მინიმუმ 60 დღე მარილწყალში; ვეტერინარის რჩევით ჩაუტარეთ ცხოველებს ვაქცინაცია.

ადამიანმა კლინიკური ნიშნების გამოვლენისთანავე უნდა მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას დროული დიაგნოსტირებისა და სათანადო მკურნალობისთვის. კლინიკური დიაგნოზი უნდა დადასტურდეს ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე. ყველა საეჭვო შემთხვევაში უნდა ეცნობოს შესაბამის ეპიდემიოლოგიურ სამსახურს, რათა მოხდეს სათანადო ეპიდკვლევის ჩატარება და ინფექციის დროული ლიკვიდაცია, რათა თავიდან ავიცილოთ ეპიდფეთქება.

დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმ-ინფექციონისტს, თუ შენიშნავთ:

სხეულის ტემპერატურა მკვეთრად გეზრდებათ; დისკომფორტს გიქმნით კუნთების ტკივილი; გრძნობთ სისუსტეს; ახლო წარსულში კონტაქტი გქონდათ ცხოველებთან!

ხსოვნა

აკაკი ზოიძე

ძნელია, წარსულში ილაპარაკო იმ ადამიანზე, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში შენი ახლობელი, მეგობარი და ჭირ-ვარამის მოზიარე იყო. გულისხმიერი, ყურადღებიანი, თავმდაბალი - ასეთი გახლდათ საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, განათლების მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მასწავლებელთა მასწავლებელი, პროფესორი აკაკი ზოიძე.

აკაკი ზოიძე დაიბადა 1941 წლის 27 ოქტომბერს შუახევის რაიონის სოფელ ბრილში. იქვე დაამთავრა რვაწლიანი სკოლა, 1958 წელს კი ჭვანის საშუალო სკოლა და იმავე წელს, ჟურნალით ხელში, მასწავლებლად დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას. 1960 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკათა ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

სტუდენტობის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და სამშენებლო რაზმებში, საიდანაც ყოველთვის საპატიო სიგელებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით ხელდამშვენებული ბრუნდებოდა.

ინსტიტუტი 1964 წელს წარჩინებით დაამთავრა და განაწილებით მუშაობა დაიწყო მშობლიური სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად. ასწავლიდა, ასევე, ბიოლოგიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას. მან მუხლჩაუხრელი შრომით მაშინვე მიიქცია სკოლის დირექციისა და განათლების მუშაკთა ყურადღება, ამიტომაც 1969 წელს, როცა საქართველოს განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი გაიხსნა, იგი აქ დაწყებითი განათლების სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგედ დაინიშნა. 30 წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა აღნიშნულ კაბინეტს და საქმიან დახმარებას უწევდა საკონსულტაციოდ მოსულ აჭარა-გურიისა და ქალაქ ფოთის დაწყებითი სკოლების მასწავლებლებს, ატარებდა გასვლით სემინარებს, კითხულობდა ლექციებს კურსებზე მოწვეულ მასწავლებლებთან და სხვა. მისი კაბინეტის მუშაობა შეისწავლა, განაზოგადა და მაღალი შეფასება მისცა საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურმა ინსტიტუტმა, ასევე აღინიშნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, რომლის მონაწილე თავად გახლდათ.

დახელოვნების ინსტიტუტში მუშაობის პარალელურად, ბატონი აკაკი წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში, სადაც სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი იყო.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აკაკი ზოიძის ხანგრძლივი, უანგარო და ნაყოფიერი მუშაობა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის ორგანიზაციაში. მან ორ ათეულ წელზე მეტი იმუშავა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ, 2003 წლიდან კი თავად ჩაუდგა სათავეში და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე წარმატებით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. იგი ყურადღების გარეშე არ ტოვებდა არცერთ პედაგოგიურ გამოცდილებას და პრესაში ანზოგადებდა მათ, აქვეყნებდა პედაგოგიური ხასიათის, მასწავლებელთა საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ წერილებს გაზეთ „აჭარასა“ და „ახალ განათლებაში“. 1981 წელს ჟურნალ „ნაროდნოე ობრაზოვანიეში“ გამოქვეყნებული პედაგოგიური ნაშრომისათვის სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ჯილდო დაიმსახურა.

აკაკი ზოიძე არის ოცამდე წიგნის, წერილების, სტატიების, რეცენზიებისა თუ მეთოდური ხასიათის ნაშრომების ავტორი. ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საპატიო სიგელებით, არის „საპატიო შუახეველი“, „საპატიო ჭვანელი“ და „საპატიო მარეთელი“.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ერისა და ქვეყნის სამსახურს შეალია. მისი ხსოვნა მარად დაუვიწყარი იქნება ყველა ჩვენგანისა და იმათ გულებში, ვინც იცნობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აჭარის განყოფილება

აკაკი ზოიძე

ძალიან სამწუხაროა, რომ აკაკი ზოიძის განვლილ გზაზე წარსულ დროში უნდა მოგითხროთ. ერს, სამშობლოს მოაკლდა და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, ჟურნალისტმა, „იაკობ გოგებაშვილის მედლის“ კავალერმა,ზაქარია ჭიჭინაძის პრემიის ლაურეატმა, შუახევის საპატიო მოქალაქემ, პროფესორმა, აკადემიკოსმა აკაკი ზოიძემ.

აკაკი ზოიძე მთელი მისი ცხოვრების გზაზე სიკეთის, მშვენიერების სამსახურის, თავმდაბლობისა და მადლის ქმნის ნიჭით დააბიჯებდა. იგი კრისტალივით სპეტაკი, ლამაზი სულის პატრონი გახლდათ და ასე კელაპტარივით დაიწვა საზოგადოების, ერის, ოჯახის, მეგობრების სამსახურში, მათ საკეთილდღეოდ და სადიდებლად.

აკაკი ზოიძე დაიბადა შუახევის რაიონის სოფელ ბრილში 1941 წლის 27 ოქტომბერს. 1948 წელს სწავლა დაიწყო ბრილის 8-წლიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ჭვანის საშუალო სკოლაში, რომლის დასრულების შემდეგ ერთი წელი იმუშავა ბრილის კოლმეურნეობაში. 1959 წელს მუშაობა დაიწყო ბრილის რვაწლიან სკოლაში მასწავლებლად. 1960 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1964 წელს, პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ბრილის საშუალო სკოლაში.

1971 წელს აკაკი ზოიძე დაინიშნა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დაწყებითი განათლების სასწავლო მეთოდური კაბინეტის გამგედ. 1976 წლიდან იგი არის საქართველოს იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების მოადგილე, შემდეგ კი მისი უცვლელი თავმჯდომარე.

აკაკი ზოიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბათუმის პედაგოგიურ კოლეჯში, გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში, სამედიცინო პედაგოგიურ კოლეჯში, ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტში.

აკაკი ზოიძე სიცოცხლის ბოლომდე იყო ზოიძეების საგვარეული კავშირის თავმჯდომარე, საზოგადოება „ჭვანელის“ გამგეობის წევრი.

მას გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი წიგნი, 45-ზე მეტი ნაშრომი და 1000-მდე საგაზეთო წერილი, ნარკვევი და სტატია.

აკაკი ზოიძის ნათელ გზას გააგრძელებენ პედაგოგი მეუღლე მერი ხიმშიაშვილი, შვილები მია და როინი, შვილიშვილები მათე, კონსტანტინე და მაქსიმე.

უკეთილშობილესი ადამიანის, ზნეობითა და ნიჭით გამორჩეული, სპეტაკი, მართალი ქართველი კაცის - აკაკი ზოიძის სახელი სამარადჟამოდ გადაეცემა თაობებს როგორც ღვაწლმოსილი, ხალხისა და ქვეყნის სამსახურში დაფერფლილი, მაგრამ ისტორიაში დავანებული სიყვარულის ნათელი მაგალითი.

იმქვეყნიური სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა!

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირი,

სრულიად საქართველოს ზოიძეების საგვარეულო,

საზოგადოება „ჭვანელი“

ურეხში იყიდება 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით. დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აღჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 4/08/23, 21 ²⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ხელოვნების ფესტივალი „ART SHOW“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის მუნიციპალიტეტის ქვეპროგრამის - „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული მუსიკალური გაერთიანება შპს „ქართული ლირიკა“ გახდა, რომელმაც ბათუმელებსა და მის სტუმრებს ერთი კვირის განმავლობაში ხელოვნების ფესტივალზე „Art Show“ საინტერესო ღონისძიებები შესთავაზა. ამ ფესტივალის მთავარი კონცეფცია, ზოგადად, ხელოვნებისა და ევროპული თუ ქართული კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციაა

წელს ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი საქართველოს დამსახურებული არტისტი, პიანისტი, კონცერტმაისტერი ნატალია ჭანტურიშვილი გახლდათ, რომლის უშუალო ჩართულობით, ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მაყურებელმა ჯოვანი ბატისტა პერგოლეზის კოსტიუმირებული, მსოფლიოში პირველი კომიკური ოპერა „მოახლე ქალბატონი“ იხილა (დამდგმელი რეჟისორი - მაია გაჩეჩილაძე, კოსტიუმების ავტორი და მხატვარი - ნეიკო ნეიძე). ეს ოპერა, რომელსაც წელს დადგმიდან 290 წლის იუბილე შეუსრულდა, აჭარის რეგიონში პირველად შესრულდა.

სულ სამი მოქმედი გმირი ვიხილეთ სცენაზე: უმბერტო, მარტოხელა ექიმი (ერეკლე გურგენიძე, ბარიტონი), სერპინა, ახალგაზრდა მოახლე (ანა ლომიაშვილი, სოპრანო), ვესპონე, მუნჯი მსახური, მიმანსი (ტამანგო ჯღერია). სპექტაკლი შესრულდა კამერული ორკესტრის თანხლებით და პირველი ვიოლინოს - მარიანა კირაკოზავას ხელმძღვანელობით (მეორე ვიოლინო - ლიკა ხმიადაშვილი, ალტი - ქეთი ნაგლაძე, ვიოლონჩელო - ანასტასია წერეთელი).

- დადგმის იდეა ანა ლომიაშვილს ეკუთვნის, იგი ერეკლე გურგენიძესთან ერთად, წლებია, ჩემთან მეცადინეობს. რაც შეეხება ოპერას, უკვე აღარ იდგმება, მხოლოდ ერთხელ, თბილისში, საოპერო სტუდიაში მაია გაჩეჩილაძის რეჟისორობით წარმოადგინეს და ახლაც მას მივმართეთ. სპექტაკლი ძალიან მოკლე დროში მოვამზადეთ, ორკესტრთან მხოლოდ რამდენიმე რეპეტიცია მოვასწარით, თუმცა მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენი მომღერლები ძალიან კარგები არიან, - გვითხრა ნატალია ჭანტურიშვილმა.

- დღეს ამაყი ვარ, რადგან მთავარი მოქმედი გმირები ბათუმის რევაზ ლაღიძის კოლეჯის კურსდამთავრებულები - ერეკლე გურგენიძე და ანა ლომიაშვილი გახლავთ. მათ სწავლა თბილისის კონსერვატორიაში გააგრძელეს და წარმატებულ და უკვე შემდგარ მუსიკოსებად დაგვიბრუნდნენ. მადლობა ქალბატონ ნატალია ჭანტურიშვილს, რომ ამ არაჩვეულებრივი პროექტის ავტორს, ამ მომღერლებს ოცნება აუხდინა და მშობლიურ ქალაქში ასე ღირსეულად წარადგინა, - აღნიშნა კონცერტმაისტერმა და სკოლის დირექტორმა ნატალია ორაგველიძემ.

- მართალი გითხრათ, ძალიან მოულოდნელი იყო შუა საუკუნის ოპერა-ბუფის ნახვა, რომელმაც ძალიან გამახარა და დამაწყნარა ამ ელექტრონული მუსიკის ეპოქაში. ერეკლეს ბავშვობიდან ვიცნობ. ამ ეპოქაში რომ ესტრადას საოპერო ხელოვნება ამჯობინა, ძალიან კარგია. მას ამისთვის ყველაფერი აქვს - არაჩვეულებრივი ტემბრი, არტისტიზმი. ნატალია ჩემი ბავშვობის მეგობარია, ანა ლომიაშვილს არ ვიცნობ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ძალიან მომეწონა. ეს გარემოც ძალიან მოუხდა სპექტაკლს. ვფიქრობ, ეს სივრცე უნდა გააქტიურდეს, რადგან ასეთი კამერული სტილის კონცერტები სანახაობრივად ძალიან კარგია, - გვითხრა მხატვარმა ნინო ნიჟარაძემ.

ფესტივალის ფარგლებში ასევე შედგა საინტერესო და ბათუმისთვის მნიშვნელოვანი წიგნების - „ისტორია სახეებში“ და „ბათუმის სული“ განხილვა, რომელსაც თეატრმცოდნე ნატალია ცქვიტინიძე და წიგნის ერთ-ერთი ავტორი ელინა გურგენიძე წარუძღვნენ.

მრავალი კონკურსის ლაურეატმა, ვალენსის დომინგოს და იტალიის ოზიმოს აკადემიების კურსდამთავრებულმა, სოპრანო მარიამ ფირცხალაიშვილმა ვოკალისტებისთვის მასტერკლასები ჩაატარა.

ფესტივალის ბოლო დღეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში გალა კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც უკვე გამოცდილი, ისე ახალგაზრდა, პერსპექტიული მომღერლები ლიკა გოთაიძე, სალომე სალაძე, ირაკლი კორიფაძე, ანა ლომიაშვილი, ლია ჯაში, ერეკლე გურგენიძე, მარიამ ფირცხალაიშვილი (კონცერტმაისტერები - ნატალია ჭანტურიშვილი, ნინო ნიშნიანიძე).

ფესტივალის ორგანიზატორისა და მონაწილეების თხოვნით მადლობას ვუხდი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს, კერძოდ, რექტორ თემურ კეჟერაძესა და ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო პროფესიული თეატრის ხელმძღვანელობას ფესტივალის მხარდაჭერისა და სივრცეების უსასყიდლოდ დათმობისთვის.

მუსიკოსი, რომლის შემოქმედებაც ათავისუფლებს...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ბათუმი ჩემი ბედია, ის ჩემთვის ქალაქზე მეტია“, - ამბობს ნიაზ დიასამიძე, მუსიკოსი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარს ბათუმი და განსაკუთრებით უყვართ ბათუმში, თუმცა, მისი შემოქმედება იმდენად გულწრფელია, იმდენად ახლობელი, შეუძლებელია გიყვარდეს მუსიკა და არ გიყვარდეს ნიაზ დიასამიძე. უსმენ მის სიმღერებს და ხვდები - ყოველ ჯერზე სულ სხვა ემოცია მოაქვს, სულ სხვა მუხტი და ენერგეტიკა

ბათუმში, „მონო ჰოლში“, ნიაზ დიასამიძის მოსასმენად შეკრებილ ადამიანებს კიდევ ერთხელ გაგვიჩნდა განცდა, რომ მისი მუსიკა არ ჰგავს სხვისას. ის ბგერები, ინსტრუმენტთან ჰარმონია, სცენაზე ექსპრომტად დაბადებული ფრაზები, მელოდია, რაღაც სხვა, აქამდე უცნობ კარებს გიხსნის და გწყვეტს ყოველდღიურობის რუტინას.

- მართლა სასწაულმოქმედია ეს ადამიანი. ვეღარ ვითვლი მის რამდენ კონცერტს დავსწრებივარ, თუმცა შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ არცერთი არ ჰგავს ერთმანეთს, ყველა განსხვავებულია და თითოეულში ახალ გზავნილს, ახალ სათქმელს ამოიკითხავ. ნიაზ დიასამიძე თავად არის იმდენად ღრმა და საინტერესო პიროვნება, შეუძლებელია შემოქმედებაც ანალოგიური არ ჰქონდეს. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს ჰყავს ისეთი მუსიკოსი, როგორიც ნიაზია. მიყვარს ბათუმური დღეები, მით უფრო მაშინ, თუ ფესტივალები და საინტერესო აქტივობები ემთხვევა. არაფერი ამშვენებს ამ ქალაქს ისე, როგორც სადღესასწაულო განწყობა და ვისურვებდი, რომ სულ იყოს ლამაზი ფერებით სავსე, ასე თბილი და საყვარელი. ბათუმზე სულ მსგავსი განცდა მაქვს: „და თუ ჩახედავ ბათუმს თვალებში, ყველა სენისგან განიკურნები“... მართლაც, ასე მგონია, აქ რომ ჩამოვდივარ, ყველა სევდისგან ვიკურნები, ვფიქრობ, ზღვას აქვს ეს მაგიური ძალა, - გვითხრა ეკატერინე ნოზაძემ.

ნიაზ დიასამიძემ ორი საათის განმავლობაში არაერთი სიმღერა შეასრულა, იყო ერთგვარი იმპროვიზაციაც, რომელიც ყოველთვის ახასიათებს და კიდევ უფრო განსაკუთრებულს ხდის მასსა და მაყურებელს შორის კავშირს.

- მართლა არავის არ ჰგავს ნიაზ დიასამიძე, რაღაც მაგიური ენერგეტიკა აქვს, რომელსაც მონუსხულივით უსმენ და ბედნიერდები. იცით, მისი მუსიკა გათავისუფლებს, შინაგანად კიდევ უფრო საინტერესოს გხდის და ბევრ რამეზე სულ სხვანაირად გაფიქრებს. მისი შემოქმედება ხომ ერთმანეთის სიყვარულისკენ, ქვეყნის ერთგულებისკენ და ქართული სიტყვის პატივისცემისკენ მოგვიწოდებს. მართლაც, იშვიათია საქართველოში ასეთი მრავალმხრივად ნიჭიერი მუსიკოსი, რომლის შემოქმედებაც ერთიანად აღაფრთოვანებს ყველა ასაკის მსმენელს. მე და ჩემი ბებო ერთად ვუსმენთ ნიაზ დიასამიძის შემოქმედებას და ერთნაირად გულთან ახლოს მიგვაქვს მისი სათქმელები, - გვითხრა სოფო ცინცაძემ.

ნიაზ დიასამიძემ თავისი მუსიკით კიდევ ერთხელ აუხსნა სიყვარული ბათუმს და ბათუმელებს, „მონო ჰოლში“ შეკრებილ მის გულშემატკივრებს დიდხანს გაგვყვება საღამო, რომელმაც ცოტა ხნით მაინც გაგვიტყუა რეალობიდან და გვამოგზაურა მუსიკის მრავალფეროვან სამყაროში...

თეატრალიზებული კლასიკური მუსიკის კონცერტი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

საოპერო მუსიკის თეატრალიზებული კონცერტი გაიმართა ბათუმის ხელოვნების ცენტრში

მასში, საოპერო დასის წამყვან სოლისტებთან ერთად, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ უცხოეთში, მონაწილეობდნენ ბათუმის მუსიკალური ცენტრის კაპელა (ქორმაისტერი - რუსუდან ბერიძე), კონცერტმაისტერები ნინო ჩაიძე, ნანა კვირიკაძე, მარინა ქიქავა, ნინო ნიშნიანიძე, ირინა ამბრიაშვილი, ციური დუმბაძე. თეატრალიზებული საღამოს რეჟისორი გახლდათ გოჩა კაპანაძე (რომლის მიერ დადგმული ქართული ოპერა - ფალიაშვილის „დაისი“ იტალიურ ენაზე აუღერდა და იქ უდიდესი წარმატება ხვდა წილად), მხატვარი - ლომგულ მურუსიძე.

საღამო მიჰყავდათ ხათუნა ჩხარტიშვილსა და აჩიკო გოგიტიძეს.

გალა კონცერტზე არიები მსოფლიოში ცნობილი უცხოელი და ქართველი კომპოზიტორების ოპერებიდან ირაკლი კორიფაძემ, სალომე სალაძემ, ლია ჯაშმა, ოთარ ნაკაშიძემ, სულხან ჯაიანმა, მირანდა კონცელიძემ, ეთერ ხალვაშმა, გიორგი სტურუამ, ლელა სიხარულიძემ, ზვიად ხუხუამ, გოდერძი ჯანელიძემ, ალუდა თოდუამ შეასრულეს.

- ასეთი დონის ღონისძიება, ურთულესი და საინტერესო პროგრამით, დიდი ხანია არ ჩაგვიტარებია. შემოგვემატნენ ახალი მეგობრები, ბრწყინვალე მომღერლები, რომლებიც ევროპაშიც წარმატებით მოღვაწეობენ. მიხარია, რომ ოპერა „ლელადან“ შესრულდა ნაწყვეტები. კონცერტზე დღეს ახალი ვარსკვლავები წარსდგნენ. ადვილი არ არის ასეთი ხმების მოპოვება, - გვითხრა საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა და ვოკალის პედაგოგმა მარინე ჯახუტაშვილმა.

- ძალიან ვისიამოვნე, მომეწონა კოსტიუმირებული საღამო, კარგი წამოწყებაა. მსგავსი ღონისძიებები ხშირად უნდა იმართებოდეს, ეს გვჭირდება ყველას, ვისაც კლასიკური მუსიკა გვიყვარს, - გვითხრა ბელა ჭანტურიამ.

- მაღალი დონის კონცერტი იყო. დღეს, როგორც მსმენელმა, ძალიან ვისიამოვნე. სასიხარულოა, რომ საქართველოს ასეთი ხმები ჰყავს, - გვითხრა გერმანიაში მოღვაწე მომღერალმა ხვიჩა ხოზრევანიძემ.

- ბათუმში ყველა ჩამოსვლა ჩემთვის ბედნიერებაა, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სახლში ვბრუნდები, რადგან ჩემ მიმართ კოლეგიალური დამოკიდებულებაა. დღევანდელი კონცერტი წარმატებით ჩატარდა. ვიმედოვნებ, რომ აქ არა მხოლოდ კონცერტები, არამედ სპექტაკლებიც გაიმართება, რადგან ეს ქალაქი საუკეთესოს იმსახურებს, - გვითხრა ევროპაში მოღვაწე მომღერალმა, ქუთაისის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორმა გიორგი სტურუამ.

ევროპული მუსიკით დასრულდა კონცერტის პირველი ნაწილი, მეორე ნაწილი კი მთლიანად ქართველ კომპოზიტორებს დაეთმო და დიდი ქართველი მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნას მიეძღვნა. მას 95 წელი შეუსრულდებოდა. ეს მნიშვნელოვანი თარიღი მთელი წლის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით აღინიშნება.